საკმარი ბაჯები

№10 (743)
ოთხშაბათი
20 მარტი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

რატომ არის **რომის პაპი** პუტინის მომხრე

2007 წლის 27 აპრილს საქართველოს კონსტიტუციიდან **საშობლოს ღალატის მუხლი** ამოიღეს



მთავარია „**აგვისტოს ომის**“ დანაშაული ბოლომდე იყოს გამოძიებული

საქართველო ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და საიმედო პარტნიორია

17 მარტს საქართველოს „ნატოს“ გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ეწვია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ნატო-საქართველოს ურთიერთობების დღის წესრიგსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

აღინიშნა, რომ ნატო-ში ინტეგრაცია საქართველოს, როგორც ნატო-ს ასპირანტი ქვეყნის, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია, რაც ქვეყნის კონსტიტუციით არის გამყარებული.

ყურადღება დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს და შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობის მნიშვნელობას საერთო-ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

პრემიერ-მინისტრმა ნატო-ს გენერალურ მდივანს ალიანსში ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერისა და პირადი ძალისხმევისთვის, ასევე საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„ბატონო გენერალურო მდივანო, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია საქართველოში თქვენი მასპინძლობა.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენი მხარდაჭერისთვის ჩვენი ქვეყნის მიმართ, ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ.

ნატო-ს გენერალური მდივნის თანამდებობაზე თქვენი 10-წლიანი მოღვაწეობა დაემთხვა უპრეცედენტო გამოწვევებს და სირთულეებს. თუმცა, თქვენი ლიდერობით მრავალი გამოწვევა გადაილახა და ნატო კვლავაც რჩება ევროატლანტიკური უსაფრთხოების მთავარ გარანტად.

მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილეთ ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები და ჩვენი ინტეგრაციის პროცესი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განსაკუთრებული მადლობა გამოვხატო ნატო-ს და პირადად გენერალური მდივნის მიმართ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის. ასევე, ძალიან ვაფასებთ თქვენ დროულ და სამართლიან განცხადებებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

საქართველო ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და საიმედო პარტნიორია, რასაც კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა. წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობდა ნატო-ს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

თავის მხრივ, ნატო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებაში.

დღეს ევროპაში რთული და გამოწვევებით სავსე პერიოდია. წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის. „მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის“ იდეა საფრთხის ქვეშაა. ამ რთულ ვითარებაში აუცილებელია, საერთაშორისო საზოგადოებამ გამოავლინოს ერთსულოვნება და მტკიცე ერთგულება საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიმართ.

ბატონო გენერალურო მდივანო, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას საქართველოში ჩამობრძანებისთვის, რაც არის საქართველოს მიმართ თქვენი მხარდაჭერის კიდევ ერთი ძალიან ძლიერი გამოხატულება.

„ნატო-ს პარტნიორობა საქართველოსთან უკვე არის ძლიერი და დღეს ჩვენ საუბარი გვქონდა იმაზე, თუ როგორ გაგვეძლიერებინა კიდევ უფრო მეტად ეს მიმართულება. ზოგადად შევთანხმდით, რომ ცალკეული, კონკრეტული პროგრამები გვექნება, საჭიროებებზე მორგებული, იმისათვის, რომ საქართველო და ნატო კიდევ უფრო დაახლოვდეს. მივესალმები იმ წინსვლას, რომელიც კრიზისების მართვის, კიბერუსაფრთხოებისა და სამხედრო ინჟინერიის მიმართულებით ხორციელდება ქვეყანაში, - ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

იენს სტოლტენბერგმა მთავრობის მეთაურს ნატო-საქართველოს პარტნიორობის მიმართ პირადი ერთგულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი კობახიძე: ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საპატრიარქომ შეძლოს განათლების პროექტების განხორციელება

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საპატრიარქომ შეძლოს საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სფეროში. აქედან გამომდინარე, არსებობს 25-მილიონიანი საერთო დაფინანსება, მაგრამ ამის მიღმა, ჯერ კიდევ შარშან, წლევანდელ ბიუჯეტში ჩაიდო 30 მლნ-იანი ასიგნება, რომელიც ხმარდება საპატრიარქოს საგანმანათლებლო პროექტებს და ეს დაფინანსება გაიზარდა დამატებით 5 მლნ-ით. ყველაფერი არის გამჭვირვალე და საუბარია რამდენიმე ათეული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსებაზე.

* * *

ვეტინგის თემა დახურულია ჩვენთვის, ეს არის შეუსაბამო არა მარტო საქართველოს კონსტიტუციასთან, არამედ, ზოგადად, კონსტიტუციურ, სამართლებრივ პრინციპებთან.

* * *

რაც შეეხება კანონპროექტს, რომელიც მიმართულია ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ, მე პირადად არ ვართ ჩართული კანონპროექტის შემუშავებაში. ეს იყო საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივა, თუმცა აბსოლუტურად გასაგებია ჩემთვის შფოთვა, რომელიც აქვს საპარლამენტო უმრავლესობას. არის ნეგატიური ტენდენციები მსოფლიოს მასშტაბით და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ნეგატიური ტენდენციები დავასრულოთ. ამისათვის, რა თქმა უნდა, კანონმდებლობას შეუძლია, შექმნას მყარი გარანტიები. მთავარია, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრინციპების შესაბამი-

სად და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავდეს ეს კანონპროექტი.

* * *

სალომე ზურაბიშვილს და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს უნდათ, რომ ცესკო დარჩეს ჩიხში, რა თქმა უნდა, საპარლამენტო უმრავლესობას ვერ ექნება ეს სურვილი, ჩვენ ვერ დავტოვებთ ცესკო-ს ჩიხურ მდგომარეობაში, ეს აბსოლუტურად მიუღებელია.

* * *

გეგმა არის უკიდურესად კონკრეტული. მაისში დასრულდება პროცედურები, რაც ტენდერთან არის დაკავშირებული, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ანაკლიის პროექტს ეხებოდა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ივნისში უკვე დაიწყება სამუშაოები.

„დაახლოებით 2 წელი დასჭირდება პირველ, ძირითად ფაზას. რაც შეეხება პირველ გემს და ა. შ. მთავარია ჩვენთვის, რომ პირველი ფაზა 2 წელიწადში წარმატებით დასრულდეს. ამაზე არის მთლიანად კონცენტრირებული ჩვენი მუშაობა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მთავრობის პრესცენტრი

რატომ არის რომის პაპი პუტინის მომხრე



გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

შეძლებს ტრამპი რევანშის აღებას?

25 მარტს ტრამპის პირველი სასამართლოა ჩანიშნული. ადვოკატებმა პროცესის გადადება მოითხოვეს. ამერიკელების აზრით, მოსამართლე სხდომას არ გადადებს. ამის შემდეგ ტრამპს სისხლის სამართლის საქმეზე კიდევ სამი სასამართლო ელის. ჯორჯიის შტატი ტრამპის კანდიდატურის სიიდან მოხსნას ითხოვდა, თუმცა უმაღლესმა სასამართლომ ორი კვირის წინ გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოიტანა. სასამართლოს დადგენილებით, ამის უფლება მხოლოდ კონგრესს აქვს. ტრამპს არჩევნებში მონაწილეობას ვერავინ აუკრძალავს. ამერიკას საკმაოდ უცნაური კანონმდებლობა აქვს — მას პატიმრობა რომც მიუსაჯონ, მაინც შეიძლება, პრეზიდენტი გახდეს. შეიძლება ციხეში იჯდეს და თან პრეზიდენტი იყოს. ეს ამერიკის კონსტიტუციით დაშვებულია.

მეორე საკითხია, მიაღწევს თუ არა ტრამპი არჩევნებამდე. მას ფინანსური კუთხით საკმაოდ უჭირს. ერთი კვირის წინ ტრამპს მხოლოდ 36 მილიონი დოლარი ჰქონდა, რაც ამ საქმისთვის ძალიან ცოტაა. კი ბატონო, ტრამპი მილიარდერია, ოღონდ უძრავი ქონებით. მას აქვს „ტრამპ-თაუერი“ ნიუ იორკში და კოტეჯები ფლორიდაში. ბაიდენმა მას მერე, რაც ერს მიმართა, რამდენიმე საათში შემოწირულობების სახით 30 მილიონი დოლარი იშოვა. ტრამპის ძირითადი სტრატეგია გათვლილია იმაზე, რომ როგორმე არჩევნებამდე მიაღწიოს, პრეზიდენტი გახდეს და მერე საკუთარ თავს თავად შეიწყალებს. აშშ-ის კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, ამერიკის ნებისმიერი მოქალაქე შეიწყალოს. ტრამპი ამერიკის მოქალაქეა და გაპრეზიდენტების შემთხვევაში უფლება ექნება, საკუთარი თავი შეიწყალოს.

ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, თითქოს, ტრამპი რეიტინგით ბაიდენს უსწრებს. ორი-სამი თვის წინ მართლაც ასე იყო. თუმცა, შესაძლოა ბევრი რამ შეიცვალოს. რამდენად მოახერხებენ ტრამპის ადვოკატები სასამართლო პროცესების დროში გაწელვას, გადადებას, აპელაციის მოთხოვნას, რათა ტრამპმა არჩევნებამდე მიაღწიოს, ეს მნიშვნელოვანია. იქ მოსამართლეებს სულ არ აინტერესებთ არც ტრამპი და არც ბაიდენი. ისინი კანონით მოქმედებენ. აი, ამ სირთულის წინაშე დგას ტრამპი.

ბაიდენს რაც შეეხება, მან ბევრი მომხრე დაკარგა დემოკრატ მემარცხენეებში იმის გამო, რომ იგი ისრაელს ღიად უჭერს მხარს. დემოკრატიული პარტიის მემარცხენეები ისრაელის მოწინააღმდეგეები არიან. სენატორი სანდერსი, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ებრაელია, ისრაელისთვის ფულის გამოყოფის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან მიიჩნევს, რომ ეს ქვეყანა ადამიანის უფლებებს არღვევს. ყველაფერს, ალბათ, უკრაინის მოვლენები გადაწყვეტს. მთავარია, ამერიკის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯონსონმა უკრაინისთვის 61 მილიარდი დოლარის გამოყოფას კენჭი უყაროს. თუ კენჭისყრა დაინიშნება, ხმის მიცემა გარანტირებულია.

ტრამპმა ჯონსონს ამ საკითხზე კენჭისყრა აუკრძალა. ეს ამერიკის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა პრეზიდენტობის კანდიდატი, პრაქტიკულად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს. ანუ უკრაინისთვის დახმარების გამოყოფას განსაზღვრავს პიროვნება, რომელიც ჯერ პრეზიდენტად არ აურჩევიათ. თუმცა, ახლა, დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა, რომლებიც უკრაინისთვის დახმარების გაწევის მომხრენი არიან, შემდეგი წესი აირჩიეს — კონსტიტუცია ითვალისწინებს, სპკერის გვერდის ავლით საკითხი კენჭისყრაზე ავტომატურად დადგეს.

— რამდენად შესაძლებელია ბაიდენი-ტრამპის დუელმა, ამერიკა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს?

— ამერიკა ასეთი გახლეჩილი, როგორიც ახლაა, სამოქალაქო ომის მერე არ ყოფილა. დღეს ამერიკაში, პრაქტიკულად, ცივი სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. ბაიდენის მთავარი კოზირი ეკონომიკაა, რა მხრივაც ქვეყანაში კარგი მდგომარეობაა. ამერიკა დღეს იმდენ ნავთობს მოიპოვებს, რამდენსაც ვერ მოიპოვებს ვერც საუდის არაბეთი, ვერც რუსეთი. გარდა ამისა, აშშ თხევადი გაზის მოპოვებაში მონოპოლისტი გახდა და ევროპას უკვე მთლიანად ამერიკა ამარაგებს. შემცირდა უმუშევრობა, ინფლაცია. ბაიდენის კიდევ ერთი კოზირი საბანკო განაკვეთზე პროცენტის დაწევაა, რის გაკეთებასაც ივლის-აგვისტოთვის აპირებს. პროცენტის დაწევა გადასახადების შემცირებას, ეკონომიკის ბუმს გამოიწვევს. ამ ბერკეტს ზაფხულში გამოიყენებენ. ასე რომ, ჯერ გარკვეული არაფერია.

ამერიკაში დემოკრატების, ანუ ბაიდენის მომხრეები ძირითადად უმაღლესგანათლებული, თავისუფალი პროფესიის ადამიანები — მხატვრები, მწერლები, პოეტები, ადვოკატები, ექიმები არიან. ტრამპის მომხრეები კი არიან სოფლის მაცხოვრებლები, ფერმერები, რომელთაც არავითარი განათლება არ აქვთ. ანუ ფანატიკოსები, რომელთაც „მეგას“ უწოდებენ. ტრამპმა ერთი კვირის წინ „რესპუბლიკური პარტიის“ თანათავმჯდომარედ საკუთარი რძალი — უმცროსი შვილის ცოლი დანიშნა. ეს ნეპოტიზმია. ტრამპისტებს, ანუ „მეგას“ სრულებით არ აინტერესებთ, ტრამპი მართალია თუ მტყუანი, ფული მართლა მოიპარა თუ აბრალებენ, მხარს უპირობოდ უჭერენ. ტრამპი სწორედ „მეგას“ იმედზეა. ისინი ცოტანი არიან, მაგრამ ხმაურიანი და აქტიურები. არჩევნებამდე ჯერ რვა თვეა დარჩენილი და ვნახოთ, რა მოხდება.

ამერიკელები ელოდებიან, როგორ განვითარდება პროცესები ტრამპის სასამართლოებზე. მოგეხსენებათ, ამერიკაში აკრძალულია „ტიკ-ტოკი“. ადრე ტრამპიც ამისი წინააღმდეგი იყო. მისი მესაკუთრე ამერიკელი მილიარდერია, რომელიც ტრამპს შეხვდა და გარიგდნენ — ტრამპი შეჰპირდა, რომ მიიღებს კანონს, რათა ამერიკაში „ტიკ-ტოკის“ მოხმარება დაიშვას, სამაგიეროდ, ის ვალებს დაუფარავს და წინასაარჩევნო კამპანიასაც დაუფინანსებს. თუმცა, უჩვეულო რამ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა პალატა მთლიანად ტრამპის მომხრეა, კენჭისყრაზე ეს საკითხი დაბლოკეს. ტრამპი გაცოფებულია, საკუთარი პარტიის წევრებს მოღალატეებს ეძახის. ახლა სენატში უნდა უყაროონ კენჭი, მაგრამ ამ საკითხს იქაც ჩააგდებენ. ასე რომ, ტრამპს ფულის შოვნის მნიშვნელოვანი წყარო გადაეკეტა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტრამპმა წააგო. პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი, თითქმის, თანაბრად მიდიან.

პუტინი და ვატიკანი

ამერიკის არჩევნებზე დამოკიდებულია არამარტო უკრაინის, არამედ ევროპის, ნატო-ს ბედიც. ტრამპი იმუქრება, რომ ნატო-დან გავა. პუტინსაც სწორედ ამის იმედი აქვს. დიახ, მისი იმედი ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლაა. არავინ მიაქცია ყურადღება რომის პაპის მოწოდებას უკრაინისადმი: „როცა იცი, რომ მარცხდები, უნდა გეყოს მოლაპარაკებების გამბედაობა და თეთრი დროშა აღმართოო“. ჩვენი ვითომ ექსპერტები გაგებაში არ არიან, რატომ არის რომის პაპი პუტინის მომხრე?! — საქმე ის არის, რომ პუტინის მთელი ფული ვატიკანის ბანკში ინახება. ვატიკანის ბანკი გაცილებით გასაიდუმლოებული უწყებაა, ვიდრე შვეიცარიის ბანკი. ვატიკანის ბანკი ულტრაგასაიდუმლოებულია, იქ ბუზიც ვერ შეფრინდება.

ვთქვათ, უკრაინამ ვერ გაიმარჯვა, რაც გამორიცხული არ არის — თუ მას ფული, იარაღი არ ექნება, ბუნებრივია, ვეღარ იომებს და მოუწევს იმაზე დათანხმება, რომ ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ დათმოს. თუმცა, პუტინი დასავლეთთან მაინც დამარცხებული იქნება, რადგან ნატო-ში ორი ისეთი ქვეყანა მიიღეს — შვედეთი და ფინეთი, რომლებიც სიტუაციას ასი პროცენტით ცვლიან. ბალტიის ზღვა, პრაქტიკულად, ნატო-ს ტბად იქცა. თანაც, შვედეთის კუნძული გოტლანდი, პრაქტიკულად, ბალტიის ზღვის კარებია. სანამ შვედეთი ნატო-ს წევრი გახდებოდა, ნეიტრალური ქვეყანა იყო და არც შეიარაღება ადარდებდა და არც არაფერი. ახლა, როგორც ნატო-ს წევრი, უკვე გოტლანდის გამაგრებას იწყებს. შედეგად, რუსეთს ჩრდილოეთით, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი აღარ ექნება. ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოცემულობაა. ნატო-სა და რუსეთს შორის საზღვარი 1300 კილომეტრია. რუსეთმა ეს საზღვარი უნდა გაამაგროს. ამის გაკეთება დაიწყო კიდეც, მაგრამ ეს დიდძალ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ევროპა რუსეთის კლონდაიკია

რამ დაღუპა საბჭოთა კავშირი? — მას ფული აღარ ეყო. რუსეთისთვის კლონდაიკი ევროპა იყო, სადაც გაზს, ბენზინს ყიდდა. ევროპელები, რა თანხასაც მოითხოვდნენ, იმას უხდიდნენ და რუსეთის ბიუჯეტი ამით ივსებოდა. ახლა რუსეთი გაზსა და ნავთობს, ინდოეთსა და ჩინეთზე ყიდის. ინდოეთი და ჩინეთი თანხას დოლარებში კი არა, თავიანთ ვალუტებში იხდიან, თანაც დისკონტით, ანუ შეღავათით. მაგალითად, თუ ევროპელები 500-600 დოლარს უხდიან, ჩინეთი და ინდოეთი მხოლოდ 300-400 დოლარს იხდიან. თან, რუსეთს ეუბნებიან, თუ ეს თანხა არ გაწყობს, მაშინ ირანის ნავთობს, კატარის გაზს ვიყიდითო. პუტინი იძულებულია, ყველაფერს დათანხმდეს.

რუსეთს ჯარისკაცი არ გამოელევა, მაგრამ სპეციალისტების პრობლემა აქვს. იცით, ვინ მიჰყავთ რუსეთში ჯარში? — პატიმრები. ყაჩაღი 6 თვე იომებს, მერე რუსეთში დაბრუნდება და რა უნდა აკეთოს — ლექციებს ხომ არ წაიკითხავს, ისევ უნდა იქურდოს, ხომ. ახლა, ორ კვირაზე მეტია, ჯარში მიჰყავთ ის ხალხი, ვინც კომუნალურ გადასახადებს ვერ იხდის და ვალები დაუგროვდათ. მათ ეუბნებიან, წადით, 6 თვე იომეთ და ვალს ჩამოგაწერთო. ასეთი მოტივაციით რომ წავა კაცი ჯარში, იმან როგორ უნდა იომოს?! ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ პუტინს, მიუხედავად სიძნელეებისა, კიდევ 25 წელი შეუძლია იომოს. მას ფული აქვს, ორჯერ მეტ ჭურვებს უშვებს, ვიდრე ომამდე. თუმცა ჭურვების გამოშვება რას ნიშნავს? — შეიარაღებაში ამდენ ფულს ყრის, მერე ჭურვებს უკრაინაში იყენებს. ფაქტობრივად, ფულს ჰაერში ყრის. რუსეთს უკრაინელებმა ორი სტრატეგიული თვითმფრინავი — AA-50 ჩამოუგდეს. თითოს ღირებულება 70 მილიონი დოლარია. რუსეთში ტანკებს ამზადებენ, რომლებსაც ფრონტზე იყენებენ. უკრაინა დასავლური იარაღით — ჭურვებით, ტანკებს ასანთის კოლოფებივით წვავს. აი, ასეთი ვითარებაა.

თუ უკრაინამ ამერიკიდან 61 მილიარდი ვერ მიიღო, მხოლოდ ევროპის დახმარება არ ეყოფა. ფრონტზე რუსები დღეში ათი ათას ჭურვს ხარჯავენ, უკრაინელების ქვემეხი კი ორი ათასჯერ ისვრის, მეტი ჭურვები არ აქვთ. რატომ დაკარგა უკრაინამ ავდეევკა? — იმიტომ, რომ ჭურვები არ ჰქონდათ. ასეთია რეალობა. 61 მილიარდის გადაცემის საკითხი აპრილის ბოლომდე უნდა გადაწყდეს. ასევე, ევროპაში უკრაინისთვის შეიქმნა ფონდი, სადაც უკვე 5 მილიარდი ევრო შეგროვდა. ჭურვები თავად ევროპასაც არ აქვს. ქვემეხები კი აქვთ, მაგრამ შიგნით ქაღალდს ხომ არ ჩადებენ. ჩეხეთის პრეზიდენტმა ასეთი ინიციატივა გააჟღერა, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, საწყობებში ბევრი ჭურვი ინახება, რომლებიც ამ ქვეყნებს არ სჭირდებათ. 800 ათასი ჭურვი უნდა იყიდონ და ფული ევროპის მდიდარმა ქვეყნებმა: ჰოლანდიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ და კანადამ დადონ.

რაც შეეხება ტრამპს, ის აცხადებს, რომ თუ პრეზიდენტი გახდება, უკრაინას კაპიკსაც არ მისცემს. ევროპა შეძლებს, ამერიკა ჩაანაცვლოს? — ვერ შეძლებს.

თამარ შველიძე

ომზადება თუ არა ოპოზიცია სამხედრო გადატრიალებისთვის?!

გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:

— ბატონო ედიშერ, რა შედეგს მოუტანს ოპოზიციას როზნერის „გაკვეთილები“, ძვირადღირებული პოპულიზმი?

— ხომ გაგიგონიათ ანდაზა: საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. ეგრეთ წოდებული ოპოზიციაც ანალოგიურ სიტუაციაშია. მეხუთე კოლონა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ქვეყანას რა ავნოს. ეს ადამიანები, რომლებიც სამშობლოსა და იმ ერს ღალატობენ, რომელსაც თვითონ წარმოადგენენ, საცოდავ დღეში არიან. ხაბეიშვილები, ჭიჭიკო ვაშაძეები, პატიკო მანჯგალაძეები, მელიები, გვარამიები მხოლოდ თავიანთი დამკვეთების, პატრონების დავალებას ასრულებენ და ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობენ, რაც ერთადერთ რამეს ემსახურება — როგორმე ქვეყანა მიმდინარე ომში ჩართონ.

სამწუხაროდ, რუსეთ-უკრაინის ომი უკრაინის საბოლოო განადგურებით სრულდება. მოსახლეობა დევნილობაშია, კულტურული და მატერიალური ძეგლები ნადგურდება, ბავშვები იხოცებიან. ამ სასაკლაოს დამკვეთი ე. წ. გლობალური ომის პარტიაა, რომელთა სახელებს არავინ ამბობს. მე გეტყვით, ვინ შედის გლობალური ომის პარტიაში — ეს ბაიდენის გუნდია, უფრო კონკრეტულად კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ამერიკას და მსოფლიოს მომავალში დიდ საშიშროებას უქადის. ამის შესახებ თავის დროზე, 50-იანი წლების მეორე ნახევარში, ეიზენჰაუერმა ისაუბრა. მან გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა, მსოფლიოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სახით საშინელება ელისო. მომდევნო პრეზიდენტი, კენედი სწორედ ამ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურთა ინტერესებს შეეწირა. დოკუმენტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა, ადასტურებს, რომ კენედის ლიკვიდაცია სწორედ ამ კომპლექსის მიერ განხორციელდა.

დღესაც ანალოგიური ვითარებაა — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებული იარაღი დაგროვდა და კიდეც საღდება. ამ პროცესში ჩართული აღმოჩნდა უკრაინელი ხალხი და ღაზას სექტორი. მეტიც, ჩაწოლილი საბჭოთა იარაღი უკრაინაში გასაღდა. არავის ადარდებს, რომ ბავშვები, ქალები იხოცებიან. მეტსაც გეტყვით, **მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კაცობრიობის ყველაზე დიდი მიღწევა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ შექმნა იყო, რომლის მთავარ ამოცანას მსოფლიოში მშვიდობის დამყარება წარმოადგენდა. ახლა გაერომ დანიშნულება შეიცვალა და ლგბტქ+-ის დამცავ ორგანიზაციად გადაიქცა.** საქართველოს ხელისუფლებას გაეროდან მოსწერეს: ლგბტქ+-ის უფლებები დაიცავითო. არადა, წესით გაერო იმ ადამიანებს უნდა იცავდეს, რომლებიც უკრაინაში, ღაზას სექტორში და სხვაგან იღუპებიან. ყოველ წუთში მსოფლიოში შიმშილით ხუთი ბავშვი იღუპება და ამ დროს ვიღაცების უკანალის დაცვაზე ფიქრობენ. აი, ასეთი ძალების ხელთაა მსოფლიოში ძალაუფლება. სწორედ მათ მიერ ფინანსდება ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიციაც.

დაფინანსების ფასად მეხუთე კოლონა მზად არის, ყველაფერზე ხელი მოაწეროს. როზნერის „გაკვეთილებიც“ ამის შედეგია. როზნერი ამერიკელი ებრაელია, რომელსაც ფულს უხდიან და ისიც „შესტიორკა“ ხაბეიშვილს, ვაშაძეს და სხვებს დავალებებს აძლევს, ესენიც უსიტყვოდ ასრულებენ. **ჩვენი ოპოზიციონერები კოლექტიური ყორღანაშვილები არიან.** მათთან შედარებით სერგო ორჯონიკიძე ანგელოზია. იგი მიწებს კოსმოპოლიტური იდეის საფუძველზე ასხვისებდა, ხოლო ესენი ამ ყველაფერს ფულისთვის აკეთებენ. ერთ მნიშვნელოვან პასაჟს გეტყვით: გივი თარგამაძემ თავადვე აღნიშნა, რომ 50 ათას დოლარს უხდიდნენ რუსებს იმისთვის, რომ გორში სტალინის ძეგლი აეფეთქებინათ. იქ რუსი ბომბს რომ ჩამოაგდებდა, მხოლოდ ძეგლს მოხვდებოდა?!

ეს ხალხი ფულის გულისთვის ქართველ ხალხს მონებად გაყიდის. ამაზე საშინელი ძალა საქართველოს ისტორიაში არასდროს ყოფილა. ადრე ქართველი პოკიტიკოსები საშშობლოსთვის თავს დებდნენ. მაგალითად, დემეტრე თავდადებულმა იცოდა, მონღოლებთან რაც ელოდა, მაგრამ წავიდა და ქვეყანას თავი შესწირა. ესენი პირიქით, ქვეყნის ნგრევაზე ოცნებობენ. ეს იშვიათი ჯიშია გამოყვანილი. მოღალატეები ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ მათ ცალკეული მეფე-მთავრები სძულდათ და არა საშშობლო.

მაგალითად, გიორგი მე-11, რომელიც ავღანეთში იყო გადახვეწილი და მათ სამსახურში ჩაბმული, ირანელები რომ შეხვდებოდნენ, მათ თავებს დიდი სიამოვნებით სხეპდა, რადგან იგი ქვეყნის მოწინააღმდეგე არ იყო. ვერ ნახავთ მოღალატეს, რომელიც იმ ქვეყნის პატრიოტი ყოფილიყო, სადაც გადახვეწილი გახლდათ. ესენი კიდევ უცხოეთში დარბოდნენ და იხვეწებოდნენ: ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მისცეთო. ასე რომ, გლობალური ომის პარტიას აქ თავისი საცეცები აქვს სალომე სამადაშვილების, ხაზარაძეების და სხვათა სახით.

— როგორ ფიქრობთ გვარამიას „ახალი“ შეიძლება მესამე ძალად ჩამოყალიბდეს?

— არავითარი ახალი გაერთიანებები არ არსებობს. ვინ არის ახალი — მელია თუ გვარამია?! ერთ რამეს მივაქციოთ ყურადღება — მელია სახელმწიფო დამნაშავეა, რომლის ციხიდან გამოყვანაზე მთელი გლობალური ომის პარტია და ლგბტქ+ საზოგადოება იყო შეძრული. მისი გირაო პირდაპირ ევროსაბჭომ გადაიხადა. მელიამ ქართული სასამართლო შეურაცხყო, როცა სამაჯური დემონსტრაციულად გადააგდო, მერე ხალხს პარლამენტზე შეტევისკენ მოუწოდებდა. რაც შეეხება გვარამიას, მან ქალბატონი ნავერიანი პირდაპირ ეთერში სცემა. ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში სისხლისფრად შელებილი ჭიქა აიღო და ასე დავლევ თქვენს სისხლსო, გვითხრა მაყურებელს. ღვინოზე და „ბორჯომზე“ გვითხრა, შიგ ჩაგიფსითო. ეს დღევანდელი დასავლეთისთვის დემოკრატია ყოფილა. **ასე რომ, „ახალის“ ლიდერები კრიმინალები არიან.** ამის მერე რაღაზე უნდა ვილაპარაკო.

ამ ვაიოპოზიციას ისღა დარჩენია, არჩევნების მეორე დღეს გაყალბებაზე დაიწყოს ლაპარაკი. ეს ხომ მათი ჩვეული ხერხია. ვეტინგის სისტემაც ხომ იმიტომ უნდათ, რომ ქართველ მოსამართლეებს დისკრედიტაცია გაუწიონ, მოსამართლეთა კორპუსი შეარყიონ და მათ ადგილას თავიანთი ხალხი დასვან. დასავლეთს საქართველო როგორც მოდერნიზებული კოლონიური ქვეყანა, ისე წარმოუდგენია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რასაც გლობალური ომის პარტია ჩვენი ქვეყნის მიმართ სჩადის, ეს რუსეთის ცარიზმის დროსაც კი არ მომხდარა. ქართველ ხალხს წინ დიდი ბრძოლები გველოდება და

ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— „ქართულ ოცნებას“ გაცხადებული აქვს, რომ არჩევნებში 60%-ს მიიღებს, ნაცები, ალბათ — 20%-ს, 20%-ზე აქვს პრეტენზია გვარამიასაც. ანუ, მას იმ ამომრჩევლის მიმხრობა აქვს ჩაფიქრებული, რომელმაც გადაწყვეტილება ვერ მიიღო?

— კი ბატონო, ნაცებს აქვთ, შანსი 5%-იანი ბარიერი გადალახონ. დანარჩენს რაც შეეხება, ნულს ნული და კიდევ ნული რომ მივუმატოთ, განა 20% გახდება?! მათ მდგომარეობას გაშლილ ველზე მეხის ჩამოვარდნას შევადარებდი, რომელიც გარშემო ყველაფერს დამბლას სცემს. ასეთი დამბლადაცემულია ეს ოპოზიცია. გვარამია კლასიკური ტიპის შარლატანია, რომლის პროკურორობის პერიოდში 9-წლიანი მმართველობის სისტემა შეიქმნა. ამბობენ, თითქოს მასთან გაერთიანებას გეგმავს ხოშტარია, რომლის ოჯახი რუსეთისგან ფინანსდება. **ოპოზიციას ერთი ხელი მართავს. ისინი, როგორც უნდა გაერთიანდნენ, 5%-იან ბარიერს მაინც ვერ გადალახავენ.**

თქვენ ახსენეთ, მმართველი პარტია არჩევნებში 60%-ის აღებას აპირებსო. მე ამას არ ვეთანხმები. „ქართული ოცნება“ 60%-ს კი არა, 70-75%-ს აიღებს, თუ ოქტომბრამდე რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. ხელისუფლებამ უმთავრესი — მშვიდობის შენარჩუნება შეძლო. არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის უნდა გავაკეთოთ. ვიმეორებ, **თუ სასწაული არ მოხდა და ხელისუფლება იარაღის ძალით არ ჩამოაგდეს, ოპოზიცია 5%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავს.**

— ასეთი საფრთხე რამდენად რეალურია?

— რა თქმა უნდა, რეალურია. ეს ხალხი აბსოლუტურად ყველაფერზეა წამსვლელი. დასავლეთს საქართველოში ოპოზიციის სახით თავისი დამქაშები ჰყავს. როგორც ირკვევა, აქაური ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელფასებისთვის უცხოეთიდან ყოველწლიურად 400 მილიონი დოლარი იხარჯება. ასე რომ, აგენტურას კარგად ინახავენ, რათა მათ ყველა დავალება უსიტყვოდ შეასრულონ. მაგალითად, დავალების ნაწილი იყო გასული წლის 7-8 მარტის აქციები, როდეცსაც „რუსულ კანონს“ აპროტესტებდნენ. მარტო ის რად ღირს, ახალგაზრდები ქაშვეთის ეკლესიაში რომ შარდავდნენ. მეორე დაფინანსებული ტრიუკი გახლდათ სამების ტაძარში წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფა. კიდევ ერთ რამეს მივაქციოთ ყურადღება — აბა, თუ იღებს რომელიმე ოპოზიციონერი ხმას ლგბტქ+-ის პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართულ კანონზე. ჩნდება კითხვა: რატომ დუმან?! მათ შორის, ამ კანონზე ხმას არ იღებს თავად გახარიაც? აქედან დასკვნა: მთელი მეხუთე კოლონა ერთი ძალის მიერ იმართება. გახსოვთ, რას ეუბნებოდა გახარია „ნაციონალურ მოძრაობას“, მე თქვენ დაგამთავრებთო და დღეს მასთან თანამშრომლობს. ამას მე ხომ არ ვიგონებ, თავად „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელმა გია ბარამიძემ პირდაპირ ეთერში ღიად განაცხადა, რომ ნაცები და გახარიას პარტია სამ, თუ ოთხ საკრებულოში თანამშრომლობენ. **ამიტომ ესენი ყველანი ერთნი — კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ არიან. ისინი, ალბათ, 5%-იან ბარიერს გადალახავენ.** ვწუხვარ, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ნაცებს მხარს უჭერს!

თამარ შველიძე

მთავარია „აგვისტოს ომის“ დანაშაული ბოლომდე იყოს გამოძიებული

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ევროსაბჭოს რეზოლუციაზე ხელმოწერით აღიარა, რომ 2008 წლის აგვისტოში სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები ქართული მხარის მიერ „ცხინვალის გაუფრთხილებლად დაბომბვით“ დაიწყო, რასაც რუსეთის მხრიდან საპასუხო შეტევა მოჰყვა,“ - ამის შესახებ „საერთო გაზეთთან“ გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ანალიტიკოსი ლევან ნიკოლეიშვილი საუბრობს. მისი თქმით, არსებობს უამრავი შეკითხვა, რომლებზეც მხოლოდ გამოძიებას შეუძლია უპასუხოს. ანალიტიკოსი ყოფილი დეპუტატების მიერ საქართველოს ინტერესების საზიანოდ მოქმედებას ქვეყნის ღალატად მიიჩნევს და „აგვისტოს ომის“ სამართლებრივი შეფასების აუცილებლობაზე საუბრობს:

- ბატონო ლევან, „ხალხის ძალამ“ კიდევ ერთხელ დაიწყო საუბარი „აგვისტოს ომის“ გამოძიებისა და შეფასების აუცილებლობაზე. თქვენ, როგორც გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ეს საკითხი?

- საქართველოში, აქამდე, არც ერთი ომი არ არის გამოძიებული და შეფასებული. ეს კი აუცილებელია ბევრი მიზეზიდან გამომდინარე:

პირველი - საზოგადოებას აქვს სრული უფლება, იცოდეს, რატომ დაიწყო ომი, რა იყო მისი გამომწვევი მიზეზი, რა წინაპირობები არსებობდა - ქართული მხრიდან იყო ამის წინაპირობა, რუსული მხრიდან, თუ მესამე ძალის მიერ იყო პროვოცირებული?!

მეორე - უნდა ვიცოდეთ, როგორ მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები, რა მდგომარეობაში იყვნენ ომის წინა სტადიაში ძალები, რომლებიც ამ ომში მონაწილეობდნენ; როგორ წარიმართა სამხედროების მართვა და კონტროლი, რაც ასევე აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენად სწორად მიმდინარეობდა პროცესები, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თუ საზოგადოებსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ძალიან ბევრი ნიუანსია გამოსაძიებელი. საბოლოო ჯამში, ვინმე ხომ არ იყო ერთი, ან მეორე მხრიდან დაბალი ან მაღალი თანამდებობის პირი, რომელმაც დაარღვია ომის საერთაშორისო წესები, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებითაა გაწერილი; ხომ არ ხდებოდა ისეთი ფაქტები, რაც გენოციდის ნიშნებს შეიცავდა, რამ მოახდინა ზეგავლენა საერთო სურათზე, რაც საბოლოო ჯამში მივიღეთ.

ომი არის პრობლემის გადაწყვეტის უკიდურესი ფორმა და თუკი მისი დაწყების აუცილებლობა დადგება, უნდა გვქონდეს საშუალება, წინა ომებიდან გამომდინარე, გავაანალიზოთ, რა შეცდომები იქნა დაშვებული, რა იყო სწორი, რა იყო არასწორი და ვიმოქმედოთ შესაბამისად, შეცდომების გათვალისწინებით. ყველაზე მთავარია, ომის დანაშაული იყოს გამოძიებული. ომის დანაშაულში ვგულისხმობ როგორც მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, ასევე მათ, ვისაც მაღალი თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ სერიოზული დანაშაულები ჩაიდინეს.

ასევე მნიშვნელოვანია, ომის მსვლელობის დროს, ურთიერთობები სამოქალაქო სექტორთან. მაგალისთვისთვის, თუკი ხვალზეგ ომი უნდა დაიწყოს, დღეს უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოება გვყავდეს მაქსიმალურად უსაფრთხოდ. უნდა შევიმუშავოთ შესაბამისი საევაკუაციო გეგმა და მშვიდობიანი მოსახლეობა უნდა მოვარიდოთ კონფლიქტის ზონას, რათა მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან მათი მსხვერპლი. ომი ისეთი რამაა, არც ტყვიას, არც შტურმს, არც ბომბს, არ აწერია, რომ ეს არის სამხედროსთვის და ეს სამოქალაქო საზოგადოებისთვის განკუთვნილი. სამხედროებმა იციან, რაში არიან ჩართული და რა სავარაუდო შედეგით შეიძლება დასრულდეს მათი მსახურება, მაგრამ ადამიანს, რომელიც შინ არის, ვახშმობს ან ტელევიზორს უყურებს და უცებ ბომბი ეცემა... ეს არის საშინელება. ამიტომ საევაკუაციო გეგმის თაობაზე აუცილებლად უნდა იყოს მთავარი აქცენტი. ასევე მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული სამედიცინო გეგმის არსებობა-არარსებობის საკითხი. ომს, მოგეხსენებათ, მსხვერპლი მოსდევს, დაჭრილების, დასახიჩრებულების და გარდაცვლილების სახით და მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს სწორედ სამედიცინო სექტორს. იგულისხმება როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სამედიცინო სექტორის მზაობა იმისათვის, რომ ამ დატვირთვას გაუძლოს. გასათვალისწინებელია როგორც მედიკამენტების, ასევე საწოლფონდის, სისხლის ბაზების, ექიმების, საევაკუაციო სამედიცინო მანქანების, სამედიცინო ვერტმფენის თუ თვითმფრინავის რაოდენობა, სამედიცინო მაღალი გამავლობის მქონე ავტომობლების არსებობა. ამას ემატება კავშირგაბმულობის საკითხები, რაც არამხოლოდ სამხედროებისთვის არის განკუთვნილი. როგორი კომუნიკაციაა, ვთქვათ, სამხედრო სარდლობასა და სამხედრო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის და როგორ არის ინფორმირებული საზოგადოება...

- მახსოვს, ერთხანს, სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავით. ვრცელდებოდა უამრავი ცრუ ინფორმაცია, რაც კიდევ მეტ აჟიოტაჟს ქმნიდა საზოგადოებაში...

- აგვისტოს ომის დროს ვნახეთ და ამის ვიდეომასალებიც არსებობს, რომ მაშინდელი უმაღლესი მთავარსარდალი საკაშვილი, ომის მიმდინარეობის შესახებ, ერთ ინფორმაციას გადმოსცემდა, უშიშროების საბჭოს მდივანი კახა ლომაია კი სულ სხვა რამეს ამბობდა. გარდა იმისა, რომ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს, ასეთი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოწინააღმდეგე მხარეს მეტი მანევრირების საშუალებას აძლევს, რომ გეგმა თავის სასარგებლოდ გადააწყოს.

ძნელია დაიჯერო, რომ სამხედროებს შესაბამისი გათვლები არ ჰქონოდათ, თუმცა, უსმენდა თუ არა მათ სამოქალაქო პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ეს უკვე მეორე საკითხია. იყვნენ თუ არა პარტნიორი ქვეყნები საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ინფორმირებული და რა ინფორმაცია ჰქონდათ მათ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ ვხედავთ, როგორი მხარდაჭერაა რუსეთ-უკრაინის ომში, პარტნიორი ქვეყნების მხრიდან, არამხოლოდ საბრძოლო მასალების მიწოდების და დაფინანსების, არამედ, საინფორმაციო ომის

- „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ევროსაბჭოს რეზოლუციას თავად მოაწერა ხელი, სადაც საუბარია, რომ 2008 წელს სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო...

- რეზოლუციაში ეს ჩანაწერი ნამდვილად არსებობს და მასზე ხელი აქვს მოწერილი „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელ დეპუტაციას, რომელთა მიერაც ეს რეზოლუცია იყო ინიცირებული. ესენი არიან: პეტრე ცისკარიშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, დავით დარჩიაშვილი, გოკა გაბაშვილი, გიორგი კანდელაკი, გივი თარგამაძე და გიგა ბოკერია, რომელთაგანაც დღეს, შეიძლება, ერთი-ორი ადამიანი აღარ იყოს პოლიტიკაში, მაგრამ დანარჩენები ისევ ძველებურად „დანავარდობენ“.

მათ მიერ მსგავს რეზოლუციაზე ხელმოწერა, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, რაც აღიარებაა და ცალკე გამოძიების საკითხია. თუკი ისინი ამას ამბობენ, რის საფუძველზე ამბობენ?! არც ერთი ხელმომწერი არ არის სამხედრო პირი, არც ერთი მათგანი არ არის ის ადამიანი, რომელსაც უნდა სცოდნოდა ომის დეტალები. თუმცა, საიდანღაც მათ ამის შესახებ მეტი ინფორმაცია ჰქონდათ. ეს ერთი საკითხია, მაგრამ თუკი ისინი ყოველგვარი ინფორმაციის ფლობის გარეშე დაეთანხმნენ წინადადებას, რაც რუსეთის ფედერაციას შეეძლო თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა, ეს არის ღალატი სახელმწიფოს წინაშე. ერთი და მეორე კითხვაც ლეგიტიმურია და აქვს არსებობის უფლება, რაც, ასევე, გამოძიების საფუძველი უნდა იყოს.

გარდა ამისა, განაცხადი იმის თაობაზე, რომ დიახ, ჩვენ კასეტური ბომბები გამოვიყენეთ, ასევე დანაშაულია, თუკი ამაზე ის პირები საუბრობენ, ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა ამ საკითხებთან. ხოლო თუკი ამაზე საუბრობენ ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ პოლიტიკოსის იარლიყი ჰქონდათ, მაგრამ არავითარი შემხებლობა არ უნდა ჰქონოდათ მსგავს დეტალებთან, ესეც ღალატის ტოლფასი ქმედებაა - სპეციალურად გამიზნული იმისათვის, რომ მეორე მხარემ ისარგებლოს ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

- როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ჰააგასა და სტრასბურგის საქმეების დასრულების შემდეგ, 2008 წლის ომის გამოძიების მეტი საშუალება არსებობს, რადგან ქართველ სამხედროებს საფრთხე აღარ ემუქრებათ...

- გამოძიება არის ინსტრუმენტი, რომელიც მოგვცემს იმის გარკვევის საშუალებას, ეს ადამიანები ნამდვილად დამნაშავეები იყვნენ თუ არა! ფაქტია, რომ მათი დანაშაულის თუ უდანაშაულობის შედეგად, ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტია ოკუპირებული, რის სამწუხარო შედეგებსაც დღემდე ვიმკით მცოცავი ოკუპაციის სახით.

რატომღაც ზოგიერთს ავიწყდება, რამდენი ადამიანი დაიღუპა - გნებავთ, მშვიდობიანი მოქალაქე, გნებავთ, სამხედრო... თავდაცვის ძალების მთავარი ამოცანა ქვეყნის ტერიტორიების დაცვაა, მაგრამ წინასწარ უნდა ჰქონდეთ გათვლილი, რა მოჰყვება ამა თუ იმ ქმედებას. უნდა ღირდეს ამხელა მსხვერპლის გაღება იმისათვის, რომ დადებითი შედეგი მივიღოთ. ამას ემატება უმაღლესი მთავარსარდლობის და უშუალოდ პრეზიდენტის პასუხისმგებლობა!

- შესაძლებელი იყო თუ არა ამ ომის არიდება და მივიღეთ თუ არა ყურად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელი მდივანის, კონდოლიზა რაისის შეგონება, თხოვნა თუ რჩევა, რომელიც ამბობდა, რომ მოსალოდნელი იყო პროვოკაციები რუსეთის მხრიდან და საქართველო მათ ხაფანგში არ უნდა გაბმულიყო, თორემ აშშ არ აპირებდა ჩვენს დახმარებას! ეს ყველაფერი გამოსაძიებელია, თუნდაც იმის გამო, რომ ვერავინ შეძლოს ქვეყნის ინტერესების გამოყენება პოლიტიკური მანიპულაციებისთვის.

ნონა ქარქაშაძე

2007 წლის 27 აპრილს საქართველოს კონსტიტუციიდან სამშობლოს ღალატის მუხლი ამოიღეს

ის ძალები, რომლებიც გუშინ სააკაშვილს მართავდნენ დასაქოქი თოჯინასავით, დღეს ზურაბიშვილს მართავენ იმავე გასაღებით. ყველაფერს ველოდი ქაჯების გაქაჯებული მთავარსადლისგან, ამიტომ არ გამკვირვებია, „არა და არასდროს“ რომ გადათქვა და სისხლის სამართლის არაერთ საქმეში ბრალდებული სააკაშვილის შესაძლო შეწყალებისკენ გადაწია ისრები.

2012 წლის შემდგომ, ეტაპობრივად „ქართულ ოცნებაზე“ სწორედ იმიტომ აიცრუა გული ბევრმა მისმა გულმხურვალე მხარდამჭერმა, რომ სამართალმა პური არ ჭამა, არ გასამართლდა არც „ნაცმოძრაობა“, როგორც მკვლელი სისტემა, არც ამ სისტემის შემქმნელები. ბოლოსდაბოლოს, სამშობლოს ღალატის გამო მაინც უნდა გასამართლებულიყო ყველა მათგანი, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლი სად არის?

დიახ, დიახ, სად არის?

ვფიქრობ, წელი არ მეშლება — 2004 წლის გაზაფხულიდან საქართველოს რეგიონებში გამოკრული იყო ფოტოები წარწერით „იძებნება სამშობლოს ღალატით“. სააკაშვილის ხელისუფლება ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ყოფილ მეთაურს, გენერალ-მაიორ რომან დუმბაძეს ეძებდა. რამდენი ვითომ „სამშობლოს მოღალატე“ გამოავლინა სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა, რამდენი ვითომ „ჯაშუში“, რომელთაგან ზოგი დააპატიმრა, ზოგი მოკლა, ზოგი დააინვალიდა და ჰოპ, უცბად, სამშობლოს ღალატის მუხლის გაუქმების სურვილმა წამოუარა და 2007 წლის 27 აპრილს კონსტიტუციიდან 307-ე მუხლი ამოიღეს.

ნეტავ რატომ, ასეთს რას გულისხმობდა ეს მუხლი?

2007 წლამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სახელმწიფოს ღალატად ითვლებოდა საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ჩადენილი საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულები: საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა; ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკებების წარმოება; საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა; უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა; საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა; სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა; ჯაშუშობა; შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად; საბოტაჟი; უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება. ზოგიერთი ამ დანაშაულის ჩამდენი თავისუფლდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ამის თაობაზე ნებაყოფლობით და დროულად განუცხადებდა ხელისუფლების ორგანოს და თავიდან აიცილებდა საქართველოს ინტერესებისათვის მოსალოდნელ ზიანს.

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ყველაფრის ჩადენას, რასაც ეს მუხლი მოიცავდა, თვითონ აპირებდნენ (ისევე, როგორც მუხლი ცილისწამების შესახებ) და თავი დაიზღვიეს. შესაბამისად, მაგალითად, გარეჯის საქმეზე დაკავებულებზე 308-ე მუხლი მოქმედებს, რაც საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას გულისხმობს. „კარტოგრაფების საქმე“ კი არა, უმძიმესი მუხლით გასამართლება ეკუთვნით, მაგრამ რანაირად?

დროში უკან რომ გადავიწიოთ და „რაღაც“ საქმეები ამოვწიოთ, რატომ ემთხვევა ამ მუხლის გაქრობა და ის „რაღაც“ საეჭვო საქმეები, ამის გამოძიება ძნელია? — არ მგონია. ხალხმა ყველაფერი იცის და ყველაფერს თავის სახელს არქმევს, ამიტომ ითხოვდა იგივეს 2012 წლიდან, მაგრამ არ მოუსმინა „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს, მურვან ყრუობა მოინდომა და ახლა იმკის...

კი, შესაძლოა, რომ ყველა მუხლის ცვლილება გადაიხედოს, მაგრამ კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს. ამდენად, ამ კონკრეტული მუხლით ახლა დაკავებულები სამშობლოს ღალატით ვეღარ გასამართლდებიან.

სააკაშვილისა და მისი მოღალატეთა ხროვის მიერ 2008 წლის პროვოცირებული სამ-ხუთდღიანი ომი სხვა რა იყო, თუ არა სამშობლოს ღალატი?

ის ჩანაწერიც გამქრალი ექნებათ, რომელიც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი და ჩემი თვალით მაქვს ნანახი — როგორი რიხით გვამცნობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი მამუკა ყურაშვილი, რომ კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად შედიოდნენ სამაჩაბლოში. ეს კაცი, წოდებით გენერალი, ყველა იმ მოქმედების მონაწილე იყო, რაც აგვისტოს ე. წ. ომამდე და ომის შემდეგ ხდებოდა, მერე კი სადღაც გაქრა. ჭორად გავრცელდა, მოკლესო, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ გამოჩნდა და უკუღმა დაიწყო ლაპარაკი, მანამდე რას ამბობდა ტელეკამერების წინ, ისიც კი „დაავიწყდა“. (სად იყო გამქრალი, თვითონ მას და კიდევ რამდენიმე სხვა კაცს ეცოდინება)... აი, ეს გენერალი ამბობდა შემდეგ ინტერვიუში აბდაუბდას, 8 აგვისტომდე დიდი ხნით ადრე მიდიოდა ბრძოლები, გვიტევდნენ ოკუპანტისგან გათამამებული სეპარატისტული ძალები, რომლებიც წინასწარ მოამზადა ვლადიმირ პუტინმაო. გრცხვენოდეს, მატყუარა გენერალო!

სალომე ზურაბიშვილი სიმართლეს ამბობდა, ე. წ. ომი სააკაშვილმა დაიწყო, რომელიც პირდაპირ ამბობდა სიმართლეს მძინარე ცხინვალის დაბომბვაზე და სიტყვიერად მტკიცებულებითი ფორმით საუბრობდა, რომ ეს იყო რუსეთსა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის გარიგება, რითიც რუსეთს საქართველოს განსაზღვრული ტერიტორია გეგმიურად გადაეცა. შავ დღეში ჩააგდეს მაშინ დღევანდელი ფინთიკოზა, რეებს როშავსო, ნუთუ დაავიწყდა? ჩვენ გვახსოვს!

საქმე ის გახლავთ, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო თავისი ბანდიდურთ და საქართველოს კი ბრალდებოდა...

სალომე ზურაბიშვილზე უარესი საქართველოს ის მოქალაქეები გამოვდივართ, ვისაც ჩვენი თვალით გვაქვს ნანახი ტელევიზიით, როგორ მოემართებოდა რუსული ტანკების კოლონა როკის გვირაბისკენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხინვალის თავზე ქართული დროშა კაი ხნის აფრიალებული იყო.

„შპიგელი“ წერდა, რომ რუსეთის შეიარაღებულმა სამხედრო ნაწილებმა როკის გვირაბის მიმართულებით სვლა დაიწყეს არაუადრეს 8 აგვისტოს 11 საათისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აგრესია რუსეთის მხრიდან არ დაწყებულა, მან საპასუხოდ იმოქმედა.

იმხანად თბილისში მყოფი გერმანიის გენშტაბის პოლკოვნიკი ვოლფგანგ რიხტერი აცხადებდა, რომ ქართველები იტყუებოდნენ ჯარების გადაადგილების შესახებ. მისი თქმით, მან ვერ მოიძია ვერცერთი მტკიცებულება იმისა, რომ სააკაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ გასცა თავდასხმის ბრძანება, რაც რუსეთის სამხედრო ნაწილები როკის გვირაბის მიმართულებით დაიძრნენ.

სოზარ სუბარი: „როდესაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენა დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილმა განგაში ატეხა, რადგან იგრძნო იმის საფრთხე, რომ გამოძიება, შეიძლებოდა, მასაც შეხებოდა“.

და რატომ არ შეეხო ბატონო სოზარ და „ქართულო ოცნებავ“? პასუხია: ამ წლების განმავლობაში ჩვენ თავს ვიკავებდით ამ ყველაფერზე საუბრისგან, რადგან საერთაშორისო სასამართლოებში მოსაგები გვქონდა პროცესები რუსეთის წინააღმდეგ. პასუხი მიღებულია.

ახლა? როცა დასაქოქი თოჯინა ბრალმდებელი ზურაბიშვილი სალომე, ახლა უკვე პრეზიდენტი, საკუთარი ენა-პირით ბრალს რომ სდებდა ასევე დასაქოქ თოჯინა პრეზიდენტ სააკაშვილ მიხეილს, აწ პატიმარს, სამშობლოს ღალატში ერთმანეთს ფარად რომ უპირებენ დადგომას, მაყურებლები რას ვშვრებით, ტაში რა მომენტში დავუკრათ?

სააკაშვილისა და მისი ბანდის ღალატის კულმინაციად და სახელმწიფოსთვის შეურაცხმყოფელ აქტად რატომ ითვლება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასაბლეის №1633 რეზოლუციაზე ხელმოწერა, არ მესმის, პირიქით, გულახდილობის პიკი და საკუთარი ხელით ყელში დანის გამოსმაა.

ამ დოკუმენტით „ნაცმოძრაობამ“ თვითონ დაადასტურა, რომ ომი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო, ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული და უღალატა სამშობლოს.

„ნაცმოძრაობამ“ თავად განაცხადა, ჩვენ დავიწყეთ 2008 წლის ომი და ამას საკუთარი ხელმოწერებითაც დავადასტურებთო. მათ გამო, ქართულ ჯარს, ჩვენს ვაჟკაცებიჭებს ომის დანაშაულის ჩადენასა და ადამიანის უფლებების დარღვევასაც ედავებოდნენ. ისტორიას დარჩება მათი გვარ-სახელები: პეტრე ცისკარიშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, დავით დარჩიაშვილი, გოკა გაბაშვილი, გიორგი კანდელაკი. ახლა რომ გასუსულან, სად დაიმალებიან...

რაგინდ დაშტვენილი იყოს მიხეილ სააკაშვილი, იმდენი კი ესმოდა მასაც და მის ბანდასაც, რომ რუსეთთან საქართველო ისე იყო (და არის!), როგორც ჭიანჭველა სპილოსთან. ამდენად, რაც მათ ჩაიდინეს საკუთარი სამშობლოსა და საკუთარი ხალხის წინაშე, ყველა ნაბიჯი შეგნებულად გადადგეს. იმას აღარ აქვს მნიშვნელობა, ვისი კარნახით მოქმედებდნენ შეგნებულად.

ჯერ კიდეც 2006 წელს არსებობდა გეგმა კოდური სახელით „ვეფხვის ნახტომი“, რომლის მიხედვით, 1 მაისამდე, აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით უნდა აეძულებინათ რუსეთი, რომ გაეყვანა მშვიდობისმყოფელები. ამის კვალდაკვალ დაგეგმილი იყო რამდენიმე რეზონანსული პროვოკაცია ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რაც დესტაბილიზაციას შექმნიდა მთელ რეგიონში. გეგმა ვრცელია, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, გათვლილი იყო, რომ ამ ოპერაციის შესრულებას დასჭირდებოდა 7 დღე, მაგრამ მიზეზთა გამო მაშინ ეს არ მოხდა. სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსგავსი გეგმის არსებობა დაადასტურა საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და დასძინა, რომ, როდესაც 2005 წლის მაისში შეხვდნენ ჯორჯ ბუშს, პირ-

10 გვ.

ქალებო, კაცები გადამალეთეთ!..

თბილისში გამართული თუ გასამართი ჰომოფობიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქართველი ლგბტ-ების მცირერიცხოვან მარშზე თუ „თბილისი პრაიდზე“ საუბარი მოსაწყენი გახდა, მაგრამ მუდმივ პრობლემად რომ გვიქცეს?

სტარტზე არიან მრავალგვარად დაშლილი პოლიტიკური ე. წ. პარტიები, ლგბტ-ების დამცველები და დიპკორპუსის დასავლური ფრთა, რათა დაგმონ „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ყველანაირი კანონი და გამოაცხადონ როგორც დემოკრატიისთვის მიუღებელი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ჩამხშობი და ყურით მოთრეული მსგავსი ფრაზებით გამყარებული საშინელება.

ჯერ გატრუნულია აშშ-ის ახალი ელჩი, რობინ დანიგანი — აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ელოდება.

წელი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ „სი-ენ-ენ“-მა პენტაგონის განცხადებაზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში იმ წელს პირველად გაიმართებოდა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა ლგბტ-ების უფლებების დაცვისკენ, გეიაღლუმში კი მონაწილეობას მიიღებდნენ ხსენებული სამინისტროს მაღალი რანგის თანამშრომლები. (წინ ალბათ, ის ცნობილი ტრანსგენდერი ადმირალი წაუძღვა, ყველანაირად კაცი რომ არის, მაგრამ ქვედაბოლოში გამოწყობილი, მაღალი ქუსლებით დაკაკუნობს).

როგორც ცნობილია, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში სამსახური ოფიციალურად ეკრძალებოდათ სექსუალურ უმცირესობებს, არაოფიციალურად კი, მიმდინარეობდა პოლიტიკა „არ იკითხო და არ თქვა“, რაც გულისხმობდა იმას, რომ თუ სამხედრო მოსამსახურეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ჰქონდა, არ უნდა გაემჟღავნებინა, ხოლო, ამაში ეჭვმიტანილი პირისთვის შეკითხვის დასმა იკრძალებოდა, თუ შემკითხველს დასაბუთებული ფაქტი არ ჰქონდა ხელთ.

აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეებისთვის ეს აკრძალვა იმ წლის სექტემბერში მოიხსნა და როგორც ჩანს, ამის ოფიციალურად აფიშირების საჭიროებაც დაუდგათ.

ახლა რა ხდება, რატომ ზარავთ ყველაფერთან ერთად ტრამპის შესაძლო გამარჯვება, განსაკუთრებით როგორც გამოხატულ ლგბტ პირებს, ისე ფარულებს ცალკეულ ქვეყნებში და, უპირველესად, აშშ-ში?

კურტ სჩლიჩერი (აშშ-ის არმიის ვეტერანი ოფიცერი, ადვოკატი ლოს-ანჟელესიდან): „ჩვენ უნდა ავირჩიოთ ტრამპი თუნდაც ერთი მიზეზით — მას შეუძლია ჩვენი სამხედრო ნაკლის გამოსწორება. რამდენიმე დღის წინათ ყველაფერი გამოცოცხლდა, როდესაც ტვიტერზე ვიდეო გავრცელდა კოსმოსური ძალების პოლკოვნიკი მამაკაცის შესახებ, რომელიც საჰაერო ძალების აკადემიაში ლექციებს ქალის ამპლუაში კითხულობდა. თუ ამას უყურებთ, მიხვდებით, რომ ჩვენი სამხედროები ამჟამინდელი გენერლებისა და ადმირალების წყალობით, ყოვლად სასაცილოები გახდნენ.

ჩემნაირი ვეტერანები ახლა არავითარ რეკომენდაციას არ უწევენ სამხედრო სამსახურს, რაც, რასაკვირველია, გულსატკენია, არადა, აუცილებელია.

ახალგაზრდებისთვის იმის თქმა, რომ ისინი უნდა შეურთდნენ ჯარს და დაექვემდებარონ წვერებიან მამაკაცს, რომელსაც „ქალბატონოთი“ მიმართავენ, შეურაცხმყოფელია — ამას ჩვენი გენერლების უმეტესობა, ალბათ, ვერ გაიგებს.

კიდევ ერთი სამარცხვინო რამაა, ქალების იძულება ნარკოლოგიური ტესტის ჩატარებითვის — დააკვირდით იმ მამაკაცებს, რომლებიც თავს ქალად მიიჩნევენ — საზიზღრობაა!

ვინ ჯანდაბას უნდა ამ ყველაფერში მონაწილეობა?

მე ყოველთვის ვამაყობ იმ ფაქტით, რომ ჩემი ქვეყანა მათი მეთაურობის უფლებას მაძლევდა, მაგრამ საშინლად აღმაშფოთებს ის ფაქტი, რომ პენტაგონის წინამძღოლობით ისინი დეგრადაციას განიცდიან.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ქალი, რომელიც თავს მამაკაცად წარმოგვიდგენს, ან კაცი, რომელიც თავს ქალად გვაჩვენებს, საბრძოლო ძალებში არც ისე დიდი ამბავია, მაგრამ ასე არ არის, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანია. ეს ლპობის სიმპტომია იმ არმიის შუაგულში, რომელიც ოდესღაც ყველაზე ძლიერი საბრძოლო ძალა იყო მსოფლიოში. ამერიკელი სამხედრო ყოველთვის ბევრ რამეს ნიშნავდა, მაგრამ ის დასაცინი არასდროს ყოფილა. დღეს კი, როცა ჯარში ზრდასრული მამაკაცი თავს ქალად აჩვენებს და ლექციებს კითხულობს, რასაკვირველია, დასაცინია.

ეს უხამსობა შედარებით ასატანი იქნებოდა, სამხედროები თავიანთ მოვალეობას მაინც რომ ასრულებდნენ, მაგრამ დღეს ჩვენ გვყავს საზღვაო ფლოტი, რომელიც ცეცხლს თავის გემებს უხსნის და არმია, რომელიც დობერმანის ლეკვივით ემორჩილება ზემდგომ ოფიცრებს. ეს სამარცხვინოა!

ნამდვილი ამბავია, არცთუ დიდი ხნის წინათ მომხდარი — პოლკოვნიკები სამხედრო წვრთნებისთვის შეიკრიბნენ. პირველ დღეს მათ ამერიკის უდიდესი სტრატეგიული საფრთხე დაადგინეს, მეორე დღეს კი ამ პრობლემის გადაჭრის კურსი დასახეს. როდესაც გყავს სამხედრო ოფიცერი, რომელიც ფიქრობს, რომ ამერიკისთვის ყველაზე დიდი საფრთხე ამინდია, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ არ გყავს ნამდვილი სამხედრო მოსამსახურე...

გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდები არ შეურთდებიან ასეთ ჯარს და ეს განსაკუთრებით ისეთ ახალგაზრდებს, ისეთ ვაჟკაცებს ეხება, რომლებიც, ტრადიციულად, ამერიკული სამხედრო ძალის ხერხემალს წარმოადგენდნენ. არა, ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ასეთი ახალგაზრდები არ უნდათ, რადგან ისინი მათ (არმიის ხელმძღვანელობას) ვერ და არ შეეგუებიან, არ დაემორჩილებიან. კარგი მებრძოლები არასოდეს არიან ის ბიჭები, რომლებსაც ქალობა უნდათ! ეს საზიზღრობაა, მაგრამ ამის გამოსწორება შესაძლებელია. ჩვენ, უბრალოდ, ისეთი პრეზიდენტი გვჭირდება, ვინც ამას გააკეთებს. ვინც უარყოფს ტრანსსექსუალურ მისტერიას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო ხელმძღვანელობა მტერს კი არა, საკუთარ ჯარისკაცებს გაანადგურებს. ეს სამარცხვინოა!“

როდესაც საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება და თავისუფლება, მათი თვითგამოხატვის თავისუფლება დარბევებით, დაპატიმრებებით, ჯარიმებით, უმოწყალოდ ცემითა და სულაც მოკვლით ისჯებოდა, ეს ქვეყნის სტაბილურობისა და დემოკრატიის შენების ნიშანი იყო საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსისთვის და გეიმარშს რომ არ იღებს საქართველოს საზოგადოება, ეს თავისუფლების შეზღუდვა ყოფილა.

არც ის მახსოვს, რომელ წელს შემაპარეს ბიოლის ცენტრში მოწყობილ ფოტოგამოფენაზე „აღიარება იწყება შენით.“ გამოფენა მწირი იყო, რადგან თურმე ყველას არ სურს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნება საჯაროდ.

მსგავსი მიმართულების შეხვედრები და ლექციები, თურმე მუდმივად ეწყობოდა ხსენებულ ცენტრში და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში: ლაკმუსის ტესტი სოციალური ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებებისათვის“ ფარგლებში ხორციელდებოდა. მომხსენებლები იყვნენ თათა ცოფურიშვილი, ფილოსოფოსი, იმ დროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და გიორგი თაბაგარი, იმ დროს სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, ლგბტ საქართველოს თავმჯდომარე.

მომხსენებელთა რისხვა, რომელიც მიმართული იყო ლგბტ-ებისგან რასისტ მღვდლად შერაცხული მამა თეოდორე გიგნაძისკენ, თავს დაატყდა სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიას, ხოლო მეორე მტერი მასმედია აღმოჩნდა. „ჰერმაფროდიტი“, „ტრანსსექსუალიზმი“, „ჰომოსექსუალისტები“, „ლიბერასტები“ და „პედერასტი“ ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვებია ქართულ პრესაშიო, — წუხდნენ ლგბტ-ები. დაამარცხეს მასმედია, მიაღწიეს იმას, რომ ახლა სწორედ მასმედია გვჩრის თვალებში ლგბტ-ების ცალკეულ წარმომადგენლებს და აპიარებს მათ, ეკლესია კი ვერ მოდრიკეს და ამიტომაც ის კვლავ საძულველ მტრად რჩება.

პროფესორის თქმით, სიძულვილის ენა 90-იან წლებში ამოქმედდა, რასაც ასახვა „ლიტერატურულ საქართველოში“ მოჰყვა და, ფაქტობრივად, შემდეგ გადაიზარდა პოლიტიკაში; რომ ოცი წელი მენტალობის შეცვლისთვის ძალიან მცირე დროა (ათვლის წერტილად რა ჰქონდათ, ვერ მივხვდი) და ამიტომ ლგბტ-ის მიმართ, მხოლოდ მოსახლეობის 10%-ია ტოლერანტულად განწყობილიო.

რა არ მოსწონთ ამ პირებს ქართული მენტალიტეტისა, ამის კითხვაც კი აღარ ღირს მას შემდეგ, რაც ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა დეიმონ ვინსოლმა „ამერიკის ხმასთან“ საუბარში ჯონ ბასის გამოსვლა დადებითად შეაფასა. „ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო და სასარგებლო იყო იმის მოსმენა, რომ არსებობს დიდი ოპტიმიზმი საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის. გადადგმულია ნაბიჯები, თუმცა კიდევ ბევრი სამუშაოა დარჩენილი არა მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, არამედ, როგორც ბატონმა ელჩმა განაცხადა, მენტალური რევოლუციის ნიშნითაც, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს სკოლებში და სხვადასხვა საზოგადოებაში საქართველოს მასშტაბით. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ახლო მომავალში ტოლერანტობის დამკვიდრება,“ — განაცხადა ვინსოლმა.

ყველაფერი ნათელი გახდა პროფესორ თათას „ლექციის“ შემდეგ, რომელსაც ასე უცნაურად ვესწრებოდი. მისი თქმით, ქრისტიანობა საქართველოში დასჯადი რელიგიაა, განსაკუთრებით აღზრდის რიტორიკა, რომ „ღმერთი დასჯის!“ და ა. შ.; რომ კრიმინალიზაცია ხდება, რაც სასულიერო პირთა რიტორიკით ვრცელდება; ხელისუფლებას ეშინია საქართველოს ქსენოფობი საზოგადოების; რომ სექსუალური უმცირესობების დაცვა არ არის საარჩევნოდ მომგებიანი.

რა ფასეულობებზეა საუბარი, გარკვეულია; რატომ არის განათლების სისტემა მომავალი თაობების გაუნათლებლობაზე ორიენტირებული, ესეც; მასმედია კი, თავისთავად, მათი მიზნების უკეთ განსახორციელებლად სწორედაც რომ უნდა ეწეოდეს ჰომოსექსუალიზმის, ლესბოსელობის და სხვა ამგვართა პროპაგანდას და, შეძლებისდაგვარად, ეწევა კიდეც.

ტერმინი „ჰომოფობია“ ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განმარტებულია, როგორც „ლგბტ ადამიანების მიმართ წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული ირაციონალური შიში და სიძულვილი, რომელიც მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის.“

ვინ რამდენად ეთანხმება ხსენებულ განმარტებას „დიდ დასავლეთში“, მათი საქმეა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების საერთო მოთხოვნაა, „ყველა თავის ტრ...ზე დაეტიოს.“

რა კანონს მიიღებენ, ვნახავთ, მაგრამ რაღაც საშველი ხომ უნდა დაადგეს საქართველოს მოსახლეობის 10%-ის სექსუალური დაოკების ფორმების ნდომის საქვეყნოდ გამოხატვას?

ლგბტ დამცველები აცხადებენ, რომ, რადგან საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, კონსტიტუციის მიხედვით, დემოკრატიული ღირებულებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე რელიგიურიო. მართლა ასე თუ დადგა საკითხი, გახმაურებული რიმეიქისა არ იყოს, მალე ყვირილი მოგვიწევს: „ქალებოოოო, კაცები გადამალეთ! პიდარასტები მოდიაااან!!!“

მაია ჭელიძე

ევროპის მთავარი მიზანი რუსეთის დამარცხებაა

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, ბერლინში მაკრონის, შოლცისა და ტუსკის შეხვედრა გაიმართა, სადაც „ვაიმარის სამკუთხედის“ განხილვის თემა კიევის მხარდაჭერა იყო. შედგა ხუთპუნქტიანი გეგმა, თუ როგორ დაეხმარონ უკრაინას. შოლცმა აღნიშნა, რომ რუსული გაყინული აქტივებით უკრაინისთვის იარაღს შეიძენენ. მაკრონმა კი თქვა, თუ ევროპას მშვიდობა სურს, ომისთვის უნდა ემზადოსო.

— ევროპამ საკუთარი თავი გამოუვალ მდგომარეობაში თავად ჩაიყენა. ვგულისხმობ იმ გათვლებს, რაც აშშ-სთან ერთად გააკეთა ომის მოკლე დროში დასრულებასთან დაკავშირებით. მათ თავიდანვე რუსეთის დამარცხება განიზრახეს, მაგრამ გეგმა ეფექტური არ აღმოჩნდა. დიახ, დასავლეთის მთავარი მიზანი რუსეთის დამარცხებაა. ამის შანსი არსებობდა, მაგრამ ხელიდან გაუშვეს, რაც დანაშაულად მიმაჩნია. ანუ, როცა რუსეთმა უკან დაიხია – კიევიდან და ხარკოვიდან ჯარი გაიყვანა, მაშინ დასავლეთს უკრაინისთვის განსახორციელებელი შეტევა რომ დაეფინანსებინა, სათანადო დახმარება გაეწია, უკრაინა შეტევას გააგრძელებდა და, შესაძლოა, რუსეთის საზღვრამდეც კი მისულიყო. თუმცა დასავლეთმა, აშშ-მ ეს არ გააკეთა. ამისთვის მზად არ იყვნენ, ან ფინანსების გამოყოფა დაეწანათ. შარშან შეტევა ვერ განხორციელდა, ფრონტის ხაზზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა — პუტინმა მთელი ქვეყანა სამხედრო მანქანად აქცია. როგორც ექსპერტები აცხადებენ, რუსეთი ახლა ბევრად მეტ ჭურვს აწარმოებს, ვიდრე ნატოში შემავალი ყველა ქვეყანა ერთად აღებული. დღეს სამხედრო შეტევას რუსეთი ახორციელებს. რუსეთს უპირატესობა უპყრია ხელთ და ნელ-ნელა წინ მიიწევს.

დღეს ევროპისთვის რუსეთის წარმატებები, როგორც დეზინტეგრაციის, დაშლის ერთ-ერთი საშუალება, ისე აღიქმება. დასავლეთი ცდილობს, ძალა მოიკრიბოს და უკრაინას დაეხმაროს. უკრაინის მარცხი ევროპის მარცხია. ამიტომაც შედგა ბერლინში ეს შეხვედრა. ასევე განცხადებები კეთდება აშშ-იდანაც. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპამ ჯერ არ იცის, რა შედეგი შეიძლება დადგეს ამერიკაში არჩევნების ჩატარების შემდეგ, ცდილობს, რუსეთის ინიციატივა როგორმე შეაჩეროს. ფრონტის ხაზზე ახალი ესკალაცია და საომარი მოქმედებების გამწვავებაა მოსალოდნელი.

— მაკრონმა განაცხადა: თუ რუსეთი გაიმარჯვებს, ფრანგების ცხოვრება შეიცვლება. არადა, ომის დაწყების პერიოდში ამბობდა, პუტინი არ უნდა დავამცირო-თო.

— საქმე ის არის, რომ უკრაინის ომი უფრო მძიმე ფაზაში თავად ევროპას შეჰყავს. ამიტომ შექმნილი ვითარება, მათ თავგანწირვის დონეზე აჰყავთ. რეალურად რა ხდება? — იხოცებიან უკრაინელი მეომრები, ქვეყანას ძალიან დიდი ზიანი ადგება. მაკრონს მიაჩნია, რომ, თუ ევროპა და მათ შორის საფრანგეთი, ამ ომში რაიმე სახის წარმატებას ვერ მიაღწევს, ისინი ყოველგვარ გავლენას დაკარგავენ არამხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, რაც მძიმე შედეგებს გამოიწვევს. მოჰყვება თუ არა რაიმე შედეგი მაკრონის განცხადებას, ძნელი სათქმელია. შოლცმა მხარი არ დაუჭირა უკრაინისთვის 500 კილომეტრის სიზუსტის ფრთოსანი რაკეტების გადაცემას.

შექმნილი ვითარება მარტივი ნამდვილად არ არის. მავანი პუტინის სიტყვებს სერიოზულად არ აღიქვამს, მაგრამ მას აქვს ღილაკი, რომელზე თითის დაჭერითაც შეუძლია ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. სხვათა შორის, პუტინს ბევრად მეტი ბირთვული შეიარაღება აქვს, ვიდრე სხვა ქვეყნებს ერთად აღებულს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია. თან, რუსეთს გააჩნია ბირთვული იარაღის გადატანის ახალი ზებგერითი საშუალება, რომელსაც ვერანაირი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა ვერ ჩამოაგდებს, რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ევროპა თან იმუქრება და სურს, რომ უკრაინის ხელით უფრო დიდი შედეგი დადოს, ამავდროულად, იმასაც შიშობს, ეს ყველაფერი ბირთვულ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს. საქმე ის არის, რომ პუტინს ბერლინი, პარიზი და სხვა ცენტრები მიზანში აქვს ამოღებული. მსოფლიო საზოგადოება სერიოზულ ზღვარზეა მისული. ჩვენ ინტელექტის გაცვლის დეფიციტის გარემოში ვიმყოფებით. აი, ასეთი მსოფლიო ლიდერები არიან დღეს წამყვან ქვეყნებში, რომლებიც დაბალი დონის კატეგორიებით აზროვნებენ.

მაკრონი ბოლო პერიოდში უფრო პიარზე გათვლილ განცხადებებს აკეთებს, ის რთულ მდგომარეობაშია რადგან მისი მხარდაჭერა საფრანგეთში საკმაოდ შემცირდა. შედეგად, მაკრონს ყურისმომჭრელი განცხადებების გაკეთება ესაჭიროება. ამიტომაც თქვა, საფრანგეთის ჯარები უკრაინაში შევლენო და მერე ეს თავადვე უარყო. სინამდვილეში, ევროპელები მსგავსი რამის გაკეთებას ჯერ არ აპირებენ. თუ უკრაინაში ჯარი შევა, ეს არ იქნება არც საფრანგეთის და არც გერმანიის, არამედ იმ მეზობელი ქვეყნების ჯარები იქნება, რომლებსაც დასავლეთ-უკრაინა საკუთარ ტერიტორიად მიაჩნიათ — პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი. მათი ისტორიული მიწები დღეს უკრაინის საზღვრებშია მოქცეული. თუ მათი ჯარები მართლაც შევლენ უკრაინაში, იქიდან აღარც გამოვლენ და რა ბედი ეწევა უკრაინის სახელმწიფოებრიობას, ძნელად წარმოსადგენია. მსგავსი სცენარი რეალისტურია. თუ რუსეთს უკან არ დაახევინებენ, მაშინ წლის ბოლოსთვის ეს რეალობად იქცევა.

— როგორც ჟღერდება, სომხეთი ევროინტეგრაციის გზაზე წინ მიიწევს...

— ეს მავანის არასწორი აღქმაა. სომხეთი ახლა საკმაოდ რთულ სიტუაციაშია. მან, ფაქტობრივად, ყარაბაღის შენარჩუნება ვერ შეძლო და 30 წლის განმავლობაში ამ ტერიტორიის გასავითარებლად არაფერი გააკეთა. ყარაბაღის სომხეთთან ინტეგრაცია ვერ მოხდა. ის სომეხი ხალხისგან დაცარიელდა და აბსოლუტურად რეცესიულ, რეგრესიულ ტერიტორიად იქცა. ბუნებრივი შედეგი დადგა — აზერბაიჯანმა თავისი ტერიტორიული მთლიანობა აღადგინა, მაგრამ შედეგი რა არის? — აზერბაიჯანთან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა დროში იწელება, რადგან საფრანგეთს, დასავლეთს სურს, ამაზე გავლენა მოახდინოს. მშვიდობიანი კავკასიის შენარჩუნება არც ჩრდილოეთს აწყობს. წამყვან, დიდ ქვეყნებს ზეგავლენის საშუალებები სჭირდებათ. ამის ერთ-ერთი სერიოზული საშუალება ყარაბაღი იყო. ეს კონფლიქტი ისე დამთავრდა, რომ ამ ფაქტორის გამოყენება დასავლეთმა, შეიძლება, საუკუნეების განმავლობაშიც ველარ მოახერხოს.

ჩვენ საკითხს პრაგმატულად უნდა შევხედოთ. ხშირ შემთხვევაში, ხალხის ხოცვა ვიღაცის ინტერესების გამო ხდება. ეს პროცესი დამთავრდა, მაგრამ ცდილობენ, საკითხს წერტილი ბოლომდე არ დაესვას და სომხეთს ეუბნებიან: პროცესი ბოლომდე გაწელოს და სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწეროს.

აქვე აქტუალურია საკითხი, ყარაბაღის კონფლიქტის დროს

რატომ არ ედგა რუსეთი სომხეთს გვერდით. მეორე მხრივ, სომხეთი გარკვეულ დახმარებებს იღებს საფრანგეთიდან. იგივეს ჰპირდებიან სხვა დასავლური ქვეყნებიც. მსგავსი დაპირებები სომხეთს ადრეც ჰქონდა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ვფიქრობ, სამხრეთ კავკასიის რეგიონს მშვიდობა სჭირდება. აქვე აღვნიშნავ, რომ ირაკლი კობახიძის ბაქოში ჩასვლა და პრეზიდენტთან შეხვედრა, ასევე, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მინისტერიალი, ჩემი აზრით, რეგიონის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით დამატებით საშუალებებს გააჩენს.

— არახამიას სამპუნქტიან ულტიმატუმზე რა მოსაზრება გაქვთ?

— არახამიას გააქტიურება კავშირშია საქართველოს წინააღმდეგ შექმნილ ცენტრთან, რომელიც კიევში მუშაობს და რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თავად იგი გახლავთ. უკრაინის ხელისუფლების ქცევა მეგობრული სახელმწიფოს ჩარჩოებში არ ჯდება. ჩვენ ამას ვპატიობთ, რადგან უკრაინა ახლა საომარ ვითარებაშია. უკრაინა ჩვენს მიმართ მტრულ დამოკიდებულებას იჩენს მაშინ, როცა საქართველოდან საკმაოდ დიდი ჰუმანიტარული დახმარება იგზავნება. ჩვენ ომში და ვერანაირ სხვა სახიფათო პროცესებში ვერ ჩავერთვებით. ეს ქვეყანას დააზიანებს. ამის უფლება არ გვაქვს, პატარა ქვეყანა ვართ, მცირე მოსახლეობით და არახამიას პროვოკაციას არ უნდა ავყვეთ.

— უგულავამ განაცხადა, სანამ მიშა ციხეშია, რა დროს არჩევნებიაო. როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს ზურაბიშვილი საკაშვილს?

— ეს საარჩევნო ტრიუკებია. არ გამოვრიცხავ, ზურაბიშვილმა ეს ნაბიჯი გადადგას. ერთი მიზეზი გახლავთ მერკანტილური ფაქტორი და მეორე, მკაცრი მოთხოვნა დასავლეთიდან. სხვა შემთხვევაში, მიშას გათავისუფლების პერსპექტივა არ აქვს. წესით, უკრაინის მოქალაქეს საშუალება არ უნდა ჰქონდეს, საარჩევნო პროცესზე ზეგავლენა მოახდინოს. სანამ რადიკალური ოპოზიცია საკაშვილზე იქნება ჩამოკიდებული, არც კოალიციური მთავრობა შედგება და არც თანამშრომლობა. საკაშვილი მხოლოდ ხელისშემშლელი ფაქტორია.

— ოპოზიციაში ახალი გაერთიანებები იქმნება. როგორ ფიქრობთ, გამოიკვეთა, ვის დაუჭერს მხარს ის ამომრჩეველი, ვისაც ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ვისმიემხროს?

— საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. საქსტატისა და ცესკო-ს მონაცემებით, 1989 წლის არჩევნების დროს მოსახლეობა 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა, ხოლო ამომრჩეველთა ოდენობა, თითქმის, 2 მილიონს. საკაშვილის პერიოდში მოსახლეობა 4 მილიონ 300 ათასამდე შემცირდა, ხოლო ამომრჩეველთა რაოდენობა, იგივე დარჩა. დღეის ჩათვლით, მოსახლეობა მილიონზე მეტით შემცირდა, ამომრჩევლების რაოდენობა კი იგივე დარჩა. ეს პარადოქსია, რაზეც არავინ საუბრობს. დიახ, მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყნიდან გასულია და ამომრჩეველთა რაოდენობა არ შეცვლილა. ეს აბსურდია. სხვა საკითხია, რომ მოსახლეობის, დაახლოებით, 20%-ს არ გადაუწყვეტია, მხარს ვის დაუჭერს. მათ ხმებზე შეიძლება ბევრმა ინადიროს. საკმაოდ დიდ ნაწილს კი არც ძველი რეჟიმი უნდა და ახლითაც უკმაყოფილოა. ამ ხმების გადაქაჩვა ბევრს შეუძლია. მეტიც, არსებობს, დაახლოებით, 20% — 400 ათასი ადამიანი, რომელიც ხმას არ აძლევს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ვერ იტანს მიშას სისხლიან რეჟიმს. ესეც აქტიური ნაწილია, რომელიც, პლატფორმის შექმნის შემთხვევაში, შეიძლება, მეორე ძალად იქცეს.

თამარ შველიძე

ლავროვმა და კარასინმა დაგვიბარა...

„რუსეთი პრაგმატული დიალოგითა და ქართველ პარტნიორებთან სრულფასოვანი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დაბრუნებით არის დაინტერესებული“, — განაცხადა რუსულ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ტასს“-თან ინტერვიუში რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა.

იგი ამ სიტყვებით რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობაზე გიორგი ქაჯაიას დანიშვნას დამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბოლო 11 წლის განმავლობაში ზურაბ აბაშიძესთან დიალოგის დროს მიღწეული შედეგები კვლავ მოთხოვნადი იქნება.

მან ასევე, აღნიშნა, რომ 2012 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზებისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ კურსს მხარი უყოყმანოდ დაუჭირა და სავაჭრო, ეკონომიკური, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული კავშირების განხილვისთვის არაფორმალური დიალოგის მექანიზმი შეიქმნა: „ეს მე და ზურაბ აბაშიძეს დაგვევალა, რომელიც მას შემდეგ 11 წელზე მეტი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მუდმივი წარმომადგენელი იყო და 26 შეხვედრა შედგა, ძირითადად, პირისპირ (პანდემიის დროს — ვიდეოკონფერენციის საშუალებით), ხოლო მუდმივი კონტაქტი დისტანციურ ფორმატში შენარჩუნდა. კულტურული გაცვლებისთვის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მეშვეობით დამატებითი შესაძლებლობები შევქმნით; ეკონომიკური კავშირების განმტკიცებასა და ბიზნესწრეებს შორის ურთიერთქმედების გააქტიურებაში წვლილი შევიტანეთ; ხელი შევუწყვეთ ტურიზმის შემდგომ განვითარებას. 2023 წელს საქართველოს 1,4 მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე ეწვია. აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტებს ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო.“

უფრო ადრე ლავრომაც დაგვიბარა რაღაც. ვიდრე იმის გარკვევას შევეცდებოდეთ, რა თქვა ლავროვმა და რატომ, უპირველესად აღვნიშნოთ, რომ ლავროვის სიტყვების ამოხსნით დაინტერესებული იყო ყველა, პოლიტიკას მიდევნებული თუ მასში ნაკლებად ჩახედული, ან სულაც გაუთვითცნობიერებელი ადამიანი, ანუ, ფაქტობრივად, სრულიად საქართველოს მოსახლეობა. მიზეზი მარტივია, მეზობელი რუსეთი, როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ძლიერი ანგარიშგასაწევი ძალა, საქართველოს ტერიტორიის არათუ მთელ გაყოლებაზე, თვით საქართველოს ტერიტორიაშიც კი ისეა შემოჭრილი, მთლად თბილისს-გულზე გვყავს მიხუტებული.

როგორც ჩანს, ქვეყნის ოკუპაციას წარმომავლობა და ხანდაზმულობის ვადა ჰქონია, და ისიც, გააჩნია ვის და როგორ სჭირდება საქმის გამოწყობა, თორემ, შესაძლოა, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოდან იყოს ოკუპანტი. ზოგი, ვისაც რაღაც გაეგება, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ათვლას წითელი არმიის შემოსვლიდან იწყებს; ვისაც კიდევ ცოტა მეტი გაეგება, მეფის რუსეთისკენ იწყებს ხელის გაშვერას.

უცნაურია, რომ მართლმადიდებელი რუსი ოკუპანტის გარდა, სხვა არცერთი მეზობელი არ განიხილება ოკუპანტად, პირიქით, ხან „მოძმეები“ არიან და ხან „ისტორიული მეგობრები“. ბოლო-ბოლო, განა რუსეთმა რა ტერიტორია მიიტაცა იმდენი, რომ თურქეთის მიერ მიტაცებულს გადააჭარბა და რა მსხვერპლი მოჰყვა იმდენი, რაც დიდ თურქობას შეეწირა? რა ტერიტორიებიც რუსეთს აქვს ოკუპირებული, ის ტერიტორიები სავაჭროდ უნდა და დაბრუნების პერსპექტივა აქვს, მაგრამ რაც სხვა მეზობლებს აქვთ მიტაცებული, ისინი რომ დამბრუნებლები არ არიან — ეს ხომ ვიცით.

ცალკე ე. წ. „მცოცავი ანექსია“ ვახსენოთ — მხოლოდ რუსეთის „ცოცვაა“ სალაპარაკო, სხვისი, რატომღაც, არა. აზერბაიჯანი-საქართველოსა და საქართველო-სომხეთის საზღვრები რომ ცოცავენ დაუღალავად, ცოცვა ისეთი უნდა!

მაგალითს ვიტყვი — წლების წინ დავით გარეჯის კომპლექსის სრულად ნახვა პრობლემას არ წარმოადგენდა, მომდევნო წელს კი ნაწილი, ბერთუბანი და ჩიჩხიტური უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დამხვდა მოქცეული, თან იმდენად ღრმად, რომ სივრცის გარდა რაიმეს დანახვა შეუძლებელი აღმოჩნდა. უფრო მეტად ვერ გავბედეთ მიახლოება, რადგან სასულიერო პირებმა გვითხრეს, რომ ერთი ზედმეტი ნაბიჯი, შეიძლება, ცუდად დამთავრებულიყო — გაუფრთხილებლად ისვრიანო.

როგორ მოცოცავს სომხეთის საზღვარი წლების განმავლობაში, ამის შესახებ მრავალჯერ დაიწერა და ითქვა;

თურქეთს „ცოცვაც“ აღარ სჭირდება, პირდაპირ შემოვარდნილია ბათუმის ქუჩებში და, ზოგადად, აჭარაში...

ამ ყველაფერს თუ ვერ და არ ხედავს, ან ხედავს და თვალს იბრმავებს ადამიანთა წრე, სწორედ რომ ბრმა-ყრუობის ხანაში მოვხვედრილვართ!..

ყველაზე საოცარი ის არის, რომ რუსეთის ხსენებაზე სწორედ მათ ეწყებათ სხეულის ყველა ნაწილის ჟრიალი, ვინც ყველაზე მეტად უღერებს მუშტს. გვაქვს ნანახი ამის მაგალითი, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს სხვადასხვა კარიდან გაპარულ-გაქცეულმა თუ მფორთხავმღოღავმა სახელმწიფო დონის ვირთხებმა, კეტის, ჯაყვის თუ ქვების იმედად რომ შეგვატოვეს რუსულ საჰაერო მოიერიშეებს...

ე. წ. დასავლურად აღტაცებულებს და გაუთვითცნობიერებულ ღრმა აღმაფრენაში ჩავარდნილებს, რეალურად, იმავე დასავლეთისთვისაც ფარისევლებს, როგორც ვხედავთ, საჭიროა, ხშირად განუმარტოს ვინმემ, ლავროვის იქნება, კარასინის, თავად პუტინის თუ კიდევ ვინმე სხვისი ენა-პირით, რომ დღევანდელი მსოფლიო რეალობა ბევრად სხვანაირია, ვიდრე, ვთქვათ, 12 წლის წინათ იყო; მათ შორის ისიც, რომ ლავროვს ან კარასინს ენა კი არ ექავებათ, ოფიციალური ენით გეუბნებიან იმას, რასაც უნდა მიხვდე, თუ თავში მართლა ნამჯა არ გიყრია...

ერთმა სახელმწიფო დონის ბანდამ „გაღმა-გამოღმელი“ მეგობარ-თანამზრახველების წაქეზებითა და რუსეთთან პირდაპირი საომარი მოქმედების პროვოცირებით წამოიწყო 3-5-დღიანი ომი, ახლა პარტიული „თანამეგობრობისა“ და „გაღმელ-კარისყურელი მეგობრების“ წაქეზებით ცდილობენ იგივეს, დაწყებული საქართველოს ე. წ. პრეზიდენტიდან — სხვა არაფერი იკითხება მათ გამოხდომებში რუსეთის უკრაინაში შეჭრის პირველი დღიდანვე.

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, აფხაზები და ქართველები თუ შეთანხმდებიან, რუსეთი გვერდზე დაუდგება მათ შერიგებასო, მაგრამ ვინ გვალაპარაკებს ერთმანეთთან? უნდა, იმ აფხაზს რომ დაგელაპარაკოს, მაგრამ ამერიკის ყველა ელჩს ფორმულა აქვს დადებული, უთხარით, რუსეთმა ჯერ ოკუპირებული ტერიტორიები დააბრუნოსო;

პარადოქსია! თუ რუსეთი ოკუპანტია და მას აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიები, ვის ინტერესში უნდა იყოს მასთან დიალოგი, ვისთან უნდა გადაწყდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი თურქ-ოსმალო-ევრო-ამერიკელებთანო?

რუსეთთან დიალოგის სოხუმ-ცხინვალით დაწყება იმას ჰგავს, შენობის შენება სახურავიდან რომ დაიწყო და არა საძირკვლიდან, ცხინვალ-სოხუმი ჩვენი საბოლოო მიზანი უნდა იყოს! ერთი სიტყვით, ან ძალიან დამფრთხალი ხელისუფლება გვყავს, ან ვალი აქვს ვიღაცისო...

გვარამიამ რომ გამოაცხადა, ტილიანი და ჯიბეგახვრეტილი ხალხი იმზირება რუსეთისკენო და რეპუტაციაშელახულმა რაღაც გამომკითხველმა ორგანიზაციებმა რომ დადეს ციფრები, პრორუსული განწყობა გაზრდილიაო, მათი საუბრის შეჯამებით საქართველოს მოსახლეობის 70-80% ყოფილა რუსეთისკენ მომზირალი ტილიანი და რა გამოდის, სანამ ეს ხალხი არ ისწავლის საკუთარი აზრის დაცვას, არც ჯიბეგახვრეტილობას ეშველება, არც ტრაკგახვრეტილობას — არა, საშველი არაა მანამდეო;

რუსეთთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლება აშკარა ზეწოლაშია კოლექტიური დასავლეთის მხრიდან და ხალხმა რამე უნდა ვქნათ, „არა — დასავლეთს!“ მაინც ვიყვიროთ ნანო თავყელიშვილ-შილერისა არ იყოს, ეგება, გზიდან გაიგონოს ვინმემ და გადმოგვეშველოსო;

რუსეთის მხრიდან წამოსულ ასეთ მნიშვნელოვან სიგნალებს რატომ არ დაუბრუნდა სერიოზული პასუხი საქართველოს მხრიდან, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი ასეთი მიდგომა ხელისუფლების პოზიციაა, თუ კოლექტიური დასავლეთის დიპკორპუსის მიერ ასეა ნაბრძანებიო? — აინტერესებს ხალხს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ღიად ჩანს ანტირუსული განწყობით დაშანტაჟებული და შანტაჟში ჩარჩენილი საქართველოს ხელისუფლება...

მცირე ხნის წინათ ვთქვი, რომ მაია სანდუ მძიმე დღეში ჩავარდება, რადგან მოლდოვასგან წასული მუქარების გამო დნესტრისპირეთმა უკვე სთხოვა დახმარება რუსეთს. ახლა მოლდავეთის სამხრეთში მდებარე ავტონომიური რეგიონი, გაგაუზია აუჯანყდა მაია სანდუს ოფიციალურ მოლდავეთს, რომელიც არაოფიციალურად „დასავლეთის გოგოა“.

გაგაუზიის ხელმძღვანელი ევგენია გუცული ვლადიმირ პუტინს უკვე შეხვდა. ამ შეხვედრის შესახებ ევგენიამ სოცქსელში დაწერა: „მე ვაცნობე ვლადიმირ პუტინს მოლდოვის ხელისუფლების უკანონო ქმედებების შესახებ, რომელიც შურს იძიებს ჩვენზე ჩვენი სამოქალაქო პოზიციისა და ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულების გამო. პუტინი დამპირდა, რომ მხარს დაუჭერს გაგაუზიას და გაგაუზიის ხალხს ჩვენი კანონიერი უფლებების, უფლებამოსილებისა და საერთაშორისო არენაზე პოზიციების დაცვაში!“

გაგაუზები სულ 240 000 ადამიანია, რუსეთს კი როგორ უყვარს უმცირესობების დაცვა სათავისოდ, კარგად მოგვეხსენება.

ყველაფერი კარგად მოგვეხსენება, მაგრამ რატომღაც, საბოლოოდ ისე გამოდის, რომ არაფერიც არ ვიცით!..

ზურა ოშხერელი

2007 წლის 27 აპრილს საქართველოს კონსტიტუციიდან სამშობლოს ღალატის მუხლი ამოიღეს

6 გვ.

დაპირ გამოუცხადეს ქართული დელეგაციეს წევრებს, არ ეცადოთ რუსეთთან საომარ კონფრონტაციაში შესვლა, ჩვენ ვერ შევძლებთ სამხედრო დახმარების აღმოჩენასო.

ხომ საინტერესოა, მერე რა მოხდა, 2007 წლის 27 აპრილის შემდეგ, როდესაც სამშობლოს ღალატის მუხლი ამოიღეს. ვინ და რა უთხრა ამ ხროვას, რას შეჰპირდნენ ამ 5-დღიანი ომისა და ამ ტერიტორიის დათმობის სანაცვლოდ?

თვით სააკაშვილი ამბობდა: **„მინდა გითხრათ ამ კითხვაზე, განვახორციელეთ თუ არა ჩვენ სამხედრო მოქმედებები აგვისტოს დასაწყისში იმისათვის, რომ აგვეღო, აგვეყვანა კონტროლქვეშ ცხინვალი და ის ადგილები სამხრეთ ოსეთის, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებდით, მე ადრეც ღიად ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში, ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება“.**

ახლა კი გამოდის ის ფინტიკოზა ქალი და ნერვებს გვაწყვეტს, დარეტიანებულივით ლაპარაკობს და კბილს გვისინჯავს, აბა, რა რეაქცია გვექნება იმ დარეხვილის შეწყალებაზე.

ხელისუფლებავ, იმას კი ნუ დაელოდებით, რას მოიმოქმედებს ე. წ. პრეზიდენტი, ახლავე, არჩევნებამდე აღადგინეთ სამშობლოს ღალატის მუხლი და გაასამართლეთ ეს ნაცსექტა, ზედ კი ეს ქალბატონი პრეზიდენტიც მიაყოლეთ, რასაც სამშობლოს ღალატის მუხლი გულისხმობს, ამ ქალბატონის „ღვაწლიც“ მშვენივრად ჯდება მასში. დამიჯერეთ, თქვენზე გამწყრალ თქვენს ყოფილ გულმხურვალე მხარდამჭერებს გული მოუბრუნდებათ თქვენზე, იმედი მიეცემათ, რომ მომავალშიც აღარ აცდება თქვენი სიტყვა და საქმე ერთმანეთს. იმაზე იფიქრეთ, რას იტყვის თქვენი ხალხი და არა იმაზე, რას იტყვის ვიღაც სხვა, გადამთიელი საქართველოს ფარგლებსგარეთ!

* * *

ეს კი ჩემგან ყველა იმ ლაჩარ სამხედრო პირს, ვინც სიმართლეიცის და პირში წყალჩაგუბებული თევზივით დუმს.

მიშასგან დაშინებულ ჯარისკაცს მე ჩემს სამშობლოს ვერ/არ ვანდობ!

ეს ამბავი ასე იყო და საუბარი გლდანის ციხეში შედგა. ცხადია, მე საუბრის შინაარსი ორიდან ერთმა გადმომცა, ან ოთარმა, ან გენერალმა. – თანამოსაუბრეთა სახელები შეცვლილია, მაგრამ გთავაზობთ ამონარიდებს. (ეს ქვეთავი ვრცლად დაიბეჭდა „სგ“ N22 2023 წ.)

— შენ, ოთარი არ ხარ? — ვკითხე ჩურჩულით.

— დიახ, ოთარი ვარ, — ჩურჩულითვე მიპასუხა და სიბნელის გამო თვითონაც კარგად დამაკვირდა.

ოთარი სამშვიდობო ჯარების ასეულის სერჟანტი იყო და 2006 წლიდან ცხინვალში სამშვიდობო მისიას ასრულებდა, მისი ასეული წვერიახოს მთაზე იყო განლაგებული, ხეობას აკონტროლებდა და 2008 წლის საბრძოლო მოქმედებებშიც მონაწილეობდა. ოთარი თავისი საქმის პროფესიონალი იყო, თავდაცვის აკადემია ჰქონდა დამთავრებული. გიჟი ეფრეიტორის, სააკაშვილის გადამკიდე, გასაკვირი არ იყო, მაგრამ მისი აქ დანახვა, მაგრამ ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო.

— ბატონო გენერალო, თქვენ ხართ? — არანაკლებ გაოცდა ისიც და გადავეხვიეთ ერთმანეთს.

სიბნელე ხელს არ გვიშლიდა. საკანმა ვიცოდით, მოშიებული იქნებოდა და რაც გვქონდა შემთხვევით მორჩენილი, იმით გავუმასპინძლდით.

— რის გამო გაგიმეტეს ამოდენა ვაჟკაცი? — დაინტერესდა ზვიადი.

— ბევრი რამ ვნახე საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე და საბრძოლო მოქმედებების დროსაც, ეტყობა, სიმართლის დამალვა უნდათ და იმიტომ დამაპატიმრეს...

— ოთარ, ომის შემდეგ კვლავ გააგრძელე სამხედრო სამსახური? — დავინტერესდი მე.

— ვაზიანის ბაზაზე შეგვკრიბეს ცხინვალიდან გამოსული სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფები. ყველაფერი არეული იყო, არავინ იცოდა რა მოხდა და რისთვის დავიწყეთ საბრძოლო მოქმედებები, ბევრმა უარი თქვა სამხედრო სამსახურზე, ძირითადად ძველი კონტინგენტი დავრჩით. ვატყობდით, რომ დიდად არ სიამოვნებდათ ჩვენი დარჩენა და ნაირ-ნაირ ხაფანგებს გვიგებდნენ, მაგრამ არ მოვდიოდით. გაუგებარი წარმომავლობის ვიღაც ოფიცრები მოჰყავდათ, ისეთები, სამხედრო საქმეზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ. იმდენიც იკადრეს, რომ მადლობები გამოუცხადეს და ორდენები ისეთ ადამიანებს ჩამოჰკიდეს, რომლებთაც არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ საომარ მოქმედებებში...

— დაგეწერა პატაკი და წამოსულიყავი, შენთვის ხომ იცოდი, რომ ისეთი და იმდენი რამ ნახე, რაც არ უნდა გენახა?

— ძალიანაც არ მინდოდა იმ ბინძური საქმიანობის მოწმე გავმხდარიყავი რაც ამათ ჩაიდინეს ომის დაწყებამდე, მაგრამ რა მექნა, ისეთ ადგილზე ვიყავი ჩემი ასეულით, რომ მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც მიწევდა დანახვა და მოსმენა...

— მაგის მეტი რა ვიცი... რომელი ქართული ქვედანაყოფი ატარებდა დივერსიულ აქტებს 2008 წლის მაისში ოსურ სოფლებში, გეცოდინება...

— 2008 წლის მაისის შუა რიცხვები იქნებოდა, როდესაც წვერიახოს მთაზე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ათკაციანი ჯგუფი ამოვიდა და ჩვენი ხელმძღვანელი იკითხეს. შემდეგ ჩანთები გადმოიღეს, იქვე გამოიცვალეს, ძველი, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვეს, რუკა ამოიღეს და სიმაღლიდან ოსური სოფლების დათვალიერება დაიწყეს. შემდეგ ქართულ სოფლებს გადახედეს, მე მხოლოდ ქართული საგუშაგოების განლაგების მითითება მთხოვეს და დაღამებამდე არაფერი მოუმოქმედებიათ. კარგად რომ დაღამდა სპეციარაღებით აღიჭურვნენ, ნიღბები გაიკეთეს და ხეობის ქართული სოფლებისკენ წავიდნენ. ღამის სამი საათი იქნებოდა როდესაც ინტენსიური სროლების ხმა გაისმა ქართული სოფლებიდან. ასეული საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანე, სამშვიდობო ძალების შტაბს დავუკავშირდი, არსებული სიტუაცია მოვახსენე და ნებართვა ვითხოვე გადაადგილებისთვის ორი ქვეითი საბრძოლო მანქანისა და დესანტის გამოყენებაზე. შტაბიდან პასუხად უარი მივიღე, ნუ ჩაერევი, პოლიციის ქვედანაყოფები კრიმინალების წინააღმდეგ ოპერაციას ატარებენო. სამხედრო პირი ვარ და ცხადია, ეჭვი შემეპარა შტაბის პასუხში, ელემენტარულად, რაც იქ ხდებოდა, კრიმინალების წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებას არაფრით ჰგავდა, როგორც ავტომატური ცეცხლასროლი იარაღიდან, ისე ტყვიამფრქვეველებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ისროდნენ.

— გქონდათ თუ არა იმის უფლება, რომ ტერიტორიაზე, რომელსაც თქვენ აკონტროლებდით, უცხო ადამიანები შეგეშვათ და იმის უფლება მიგეცათ, რაც მათ მოიმოქმედეს — ტანსაცმლის გამოცვლა, იარაღების შეტანა-გამოყენება და ა.შ სხვა დროსაც მომხდარა მსგავსი რამ?

— ამ ჯგუფის შემოსვლის შესახებ შტაბიდან გადმოგვცეს და გაფრთხილებაც მოაყოლეს, არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ მათ საქმიანობაში, ისინი მანდ კრიმინალების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს გეგმავენ და ინტენსიურად იმუშავებენ ამ მიმართულებითო.

— ეს ჯგუფი ხშირად მოქმედებდა ხეობის მიმართულებით?

— მაისი-ივნისი-ივლისი არათუ მხოლოდ ხეობის მიმართულებით, ოსურ სოფლებშიც გადადიოდნენ და იგივე სროლების ხმა იყო. ხეობაში ბევრი ნაცნობი მყავდა და როდესაც მხვდებოდნენ, მსაყვედურობდნენ, წუხელ ოსურმა ბანდამ სოფელს შემოუტია, სახლები დაგვიცხრილეს. შუაღამისას მოგვეპარებიან და ცეცხლს გვიხსნიან ყველანაირი იარაღიდან, ჩვენ ჩვენი ძალებით ვერ გავუმკლავდებით და თქვენ რას აკეთებთ მანდ რომ ხართ, რატომ არ გვეხმარებითო?

მე, რა თქმა უნდა, უკვე დადასტურებულად ვიცოდი, რომ ჩვენთან მოსული ჯგუფის „ოპერაციები კრიმინალების წინააღმდეგ“ სინამდვილეში ქართველი და ოსი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იყო, მაგრამ რა პასუხი გამეცა მოსახლეობისთვის, ხან რას ვიგონებდი და ხან რას.

დღითიდღე ისე ძაბავდნენ სიტუაციას, რომ მივხვდი, უკვე რაღაც დიდი პროვოკაცია მზადდებოდა. ერთხელ გოგავა და ყურაშვილიც ამოვიდნენ და ქალაქის მიმართულებით რაღაცას გეგმავდნენ, შემდეგ გოგავამ უთხრა ყურაშვილს, ესენი სხვა მიმართულებითაც დაიწყებენ მოქმედებას და შენები გააფრთხილე, რაც უნდა მოხდეს, ამ საქმეში არ ჩაერიონო. შემდგომი „საქმისთვის“ რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლის მსხვერპლი იყო საჭირო, — გვითხრა ოთარმა.

— ეს ჯგუფი, რომელიც ქართულ-ოსური სიტუაციის დაძაბვაზე მუშაობდა, ჩვენი სპეცრაზ-

მის ჯგუფია. ამ ადამიანებს მხოლოდ ცხინვალის პროვოკაციაზე კი არ ამუშავებდნენ 2008 წელს, საქართველოს მასშტაბით აქვთ სიბინძურეები და მკვლელობები ჩადენილი... სად დაგაკავეს, რომელმა უწყებამ ჩაატარა შენი დაკავების ოპერაცია?

— შვებულებაში გამიშვეს, სოფელში ვიყავი ერთი-ორი კვირა და თბილისში დავბრუნდი. ერთ დღეს, საცოლესთან ერთად ავტომანქანით ვმოძრაობდი ქალაქში და გამაჩერეს. ორი ავტომანქანით იყვნენ, ერთი წინ ჩამიდგა, მეორე — უკან, მანქანიდან სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭები გადმოვიდნენ, შსს-ის კონტრდაზვერვის თანამშრომლებად წარმომიდგნენ და საბუთები მომთხოვეს. საბუთების დათვალიერების შემდეგ მოდულის შენობაში წამიყვანეს საცოლესთან ერთად და გაგვაცალკევეს. ოთახში რომ შემიყვანეს ახალგაზრდა ბიჭი დამხვდა იქაც, ლევანი ერქვა. მან კითხვების დასმა დამიწყო, მათ შორის, აინტერესებდა, რამდენი ხანი ვიყავი სამშვიდობო მისიაში და როდესაც პასუხი მოისმინა, აზრი გამოთქვა, რომელიც შეკითხვას მოიცავდა, ბევრი რამ გეცოდინებაო. ვუპასუხე, რომ რაც ჩემს დაქვემდებარებაში არსებული ასეულის ირგვლივ ხდებოდა, ყველაფერი ვიცოდი და პასუხისმგებელი ვიყავი, დანარჩენ საკითხებში, რომელიც არ მეხებოდა, არ ვერეოდი. დამხვდურმა ვიღაცას გასძახა, გამომძიებელი შემოვიდეს, დასაკითხი პირი დაკავებულიაო. რატომ მაკავებთ, რა დავაშავე-მეთქი? გამომძიებელი შემოვა და აგიხსნისო. ჩემი საცოლე მოვიკითხე და მიპასუხა, გვერდზე ოთახშია და შენზეა დამოკიდებული გაუშვებენ თუ არაო. ამ დროს გამომძიებელიც შემოვიდა, დაკითხვის ოქმი ამოიღო და მკითხა, ამა და ამ დღეს სად იყავიო? მე ვუპასუხე, რომ სოფელში ვიყავი და ერთი კვირაა რაც თბილისში ჩამოვედი. ცეცხლსასროლ იარაღზე მკითხა და ვუპასუხე, რომ პირადი იარაღი არ მაქვს, სამსახურებრივი იარაღი კი ჩაბარებულია.

გამომძიებელმა „გამარკვია“, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით რომელიღაც ბენზინგასამართ სადგურთან თურქეთის ორი მოქალაქე დამიყაჩაღებია, რომელთაგან ერთმა წინააღმდეგობა გამიწია და ფეხში დავჭერი. უტყუარი ალიბი მაქვს, უამრავი მოწმეა, რომ აღნიშნულ დროს მე სოფელში ვიყავი და ამას როგორ ჩავიდენდიმეთქი? ჩემი სახლის გასაჩხრეკად გააგზავნეს თანამშრომლები და დაახლოებით ორ საათში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი შემოიტანეს, რომელიც თითქოს ჩემს ავტოფარეხში იპოვეს. იმ ახალგაზრდა ბიჭმა, ლევანმა, ნიშნისმოგებით მითხრა, აკი ამბობდი, ცეცხლსასროლი იარაღი არ მაქვსო, სწორედ ამ იარაღით დააყაჩაღე თურქეთის მოქალაქეები და ერთი მათგანი დაჭერი კიდეცო.

რა თქმა უნდა, მათი ყველა ბრალდება უარვჰყავი, მაგრამ გამომძიებელმა გამომიცხადა, თუ არ აღიარებ, რომ ეს იარაღი შენია და შენ დააყაჩაღე თურქეთის მოქალაქეები, შენს საცოლეს გვერდზე მოგისვამთო. ერთ თვეში ხელი უნდა მოგვეწერა და დავქორწინებულიყავით, ესენი მეუბნებიან, ციხეში მოგიწევთ ხელისმოწერაო. მაინც რას მერჩით-მეთქი? ბევრს ლაპარაკობ და დასვენება მოგიხდება, ცხინვალში ცოტა გადაიღალეო, — მიპასუხა ლევანმა. მე მივხვდი, რომ ჩემი იზოლირების ამბავი იმ ჯგუფების შემოსვლას უკავშირდებოდა და მათ საქმეებში ჩემი ზედმეტი ჩახედვით იყო გამოწვეული...

ჩემი საცოლისთვის უთქვამთ, ვითომ მე ნარკოტიკებს ვიღებდი და მოსატანად მას ვაგზავნიდი — ამას თუ არ დაადასტურებ, შენც გვერდზე მიუჯდებიო. ის ისეთი გოგოა, ვერ შეაშინებდნენ — რაც გინდათ, ის მიქენით, ამისთანა ტყუილს მაინც არ დავწერო. კიდევ რეები უთხრეს, არ ვიცი, მაგრამ გაუშვიათ. მამაჩემს საკუთარი თვალით დაუნახავს როგორ ამოიღო ერთ-ერთმა თანამშრომელმა საკუთარი ავტომანქანის საბარგულიდან ავტომატი და შეიტანა ჩემს ავტოფარეხში... რაში სჭირდებოდათ ამ უბედურების დაწყება, ტყუილად ამდენი ხალხი დაღუპეს... რა ომობანა აუტყდა ამ გიჟს, ყველაფერი ნორმალურად იყო, — დანანებით ჩაილაპარაკა ოთარმა.

— რა სიტუაცია იყო მანამდე, ოსებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— რას ჰქვია როგორი ურთიერთობა გვქონდა! როცა გვინდოდა ცხინვალშიც მივდიოდით, არანაირი პრობლემა არ იყო და არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ მიგვრძნია. რამდენჯერ მიქეიფია ოსურ სოფლებში, პირიქით, უხაროდათ შერიგების პროცესი რომ ძლიერდებოდა. უკვე ბევრი შერეული ქორწინებებიც იყო, ქართველები, როცა მოისურვებდნენ მაშინ შედიოდნენ ცხინვალში და თავიანთი მიტოვებული სახლების რემონტიც წამოიწყეს. კოკოითი არანაირი პრობლემა აღარ იყო, ისე ჰქონდა უკვე საქმე წასული, თვითონ ოსები გააგდებდნენ ძალიან მალე. აგვისტოს ომამდე ისეთი მომჯდარი იყო ქართულ-ოსური ურთიერთობა, ოსური მხარე ყველანაირ მოლაპარაკებაზე მოდიოდა... სამაჩაბლოს ტერიტორიის კონტროლი პრობლემას აღარ წარმოადგენდა, ნებისმიერი მიმართულებით შეგვეძლო კონტროლი...

— რუსებს რა პოზიცია ეკავათ როდესაც მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შედიოდით?

— არანაირი პრობლემა არ იყო არც მათთან, სადაც რუსები იდგნენ, საგუშაგოზე ორი ბოთლი ჭაჭას ჩუქება და თვითონ შემოგატარებდნენ მთელ ოსურ სოფლებს. ჩვენი დანახვა ყოველთვის უხაროდათ, იცოდნენ, ხელცარიელი არ მივიდოდით. ამათ რომ თავიანთი გიჟობები არ ჩაეტარებინათ, ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებინებდით ჩვენს სასარგებლოდ და არც დღევანდელი დღე გვექნებოდა...

ოთარს 6 წელი მიუსაჯეს, ორ საათში ჩაატიეს ყველაფერი, დაზარალებულები საერთოდ არ მოუყვანიათ... პროკურორს უთქვამს ადვოკატისთვის, თუ ბევრს იყვირებთ და არ გაჩერდებით, სამი მუხლი აქვს, სამივე მუხლის მაქსიმუმს მოვითხოვთ და ოცდაათ წელზე ნაკლებს არ მიუსჯიანო...

ცხინვალში სამშვიდობო მისიის შემსრულებელმა ქართველმა სამხედროებმა კარგად იციან, რომ ასე ხდებოდა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დროს ოსი სეპარატისტების თავდასხმები... შეკვეთილი საქმეების ერთი ჩაქუჩის დარტყმით დამთავრებაც ასე ხდებოდა, ზოგჯერ ცრუ მოწმეც კი ზედმეტად მიაჩნდათ...

მაკა ჯაყელი

რატომ, „ოსტატო“, რატომ? რატომ დატოვე ასე აღრიანად სამშობლო-საქართველო?

გასულ კვირას, საღამოჟამს, ტელეფონის ეკრანი აციმციმდა და ენდი ნემსიწვერიძე დაიწერა.

საოცრად გამიხარდა ზარი, რომელსაც არ ველოდი.

- გისმენთ „ოსტატო“-მეთქი, რომ ვუპასუხე, - აბა, „მგოსანოთი“ შენ მარტო ბატონ ვახტანგს მოიხსენიებდიო და გადაიხარხარა!

- ჰოდა, ვახტანგის (ხარჩილავას) დაბადების დღე მოდის 17-ში. გეპატიჟებით, მახათაზე ერთად ავიდეთ, შენს აფხაზ ძმობილ ნიკა ბაძაღუას და უამრავ გულში ჩასახუტებელ ქართველს დაგახვედრებ.

- ბატონი ვახტანგის სული უფალმა გაანათლოს, ჩვენ ქუთაისში მოვიხსენიებთ. 18-ში ჩემი დაბდების დღეც არის, თქვენ თბილისიდან, ჩვენ კიდევ ქუთაისიდან შევეხმიანოთ ერთმანეთს. თვის ბოლოს შენ ისედაც აპირებ ქუთაისში ჩამოსვლას და მერე შევხვდეთო!

სამწუხაროდ, ეს ჩვენი ბოლო საუბარი აღმოჩნდა!

18-ში დილას, ვახტანგ ხარჩილავა - „მგოსანი“ და ენდი ნემსიწვერიძე - „ოსტატი“, ალბათ, უკვე შეხვდნენ და დაბადების დღეც მიულოცეს ერთმანეთს.

...მხოლოდ უფალმა უწყის, ჩვენ როდის შევხვდებით მათ!

მახსენდება, პანდემიის დღეებში ვახტანგი მირეკავს და მეუბნება:

- ხვალ გაზეთის დღეა, საღამოს მოდი, სანამ პედეეფს გავამზადებთ, წაიკითხე.

- კი, მაგრამ რა უნდა წავიკითხო, ჩემი სტატია ხომ არ მიდის ამ ნომერში?

(წესისამებრ, როცა ჩემი სტატია იბეჭდებოდა, ძირითადად, „ანაკლია პორტზე“, მაშინ მაკითხებდა ახალ ნომერს, სტამბაში გაგზავნამდე).

მოდი, უკეთესს წაგაკითხებო და მეც ვეახელი! მისთვის ჩვეული ღიმილით მომესალმა და წასაკითხად გამზადებული ამობეჭდილი გვერდი გადმომცა.

პოეზიის გვერდის რუბრიკის ქვეშ „ენდი ნემსიწვერიძე“ რომ წავიკითხე, სახეგაბადრულმა „მგოსანმა“ ვრცელი კომენტარი შემომაგება:

„ენდის ლექსების წაკითხვის შემდეგ მისი მკითხველი უთუოდ დაფიქრდება, რომ

ამქვეყნად მოსვლა უფლის ნებაა, მაგრამ ამ ქვეყნის პატრონობა ყველა ჩვენგანის ვალია უფლის წინაშე!“

დიახ, „მგოსანო”, ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ენდი ნემსიწვერიძე და ისე ეახლა უფალს!

სამწუხაროდ, ძალზედ მოკლე დროში მოასწრო სამშობლოსა და ღმრთის წინაშე საქვეყნო ვალის გადახდა!

მაგრამ დაგვიტოვა უწრფელესი ლექსები, მკითხველთან ერთად რომ უსასრულოდ იდგებიან განსაცდელში მყოფი სამშობლოს სადარაჯოზე.

ნათელში ამყოფოს უფალმა ჭეშმარიტი პოეტისა და დიდი ერისკაცის, ენდი ნემსიწვერიძის სული!

დავით ქობალია

მთავრობა ვერ აიძულებს ბიზნესს კონკრეტული პროდუქტის გაიაფებას

მომავალი თვიდან მომხმარებელთა დიდ ნაწილს ლარში აღებულ სესხებზე ყოველთვიური შენატანი შეუმცირდება. რეფინანსირების განაკვეთი 0,75%-ით დაიწევს და 8,25% გახდება. 2024 წლის იანვრის მონაცემებით, ლარში 183,5 ათასი სესხია გაცემული.

აღნიშნულ საკითხზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს ეკონომიკის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი პახტანგ ჭარაია.

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემცირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. რა ფაქტორებმა განაპირობა სებ-ის ეს გადაწყვეტილება?

- ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იქიდან, რომ ახლო მომავალში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გლობალურად, ახალი ინფლაციური წნეხი არ არის მოსალოდნელი. ამასთან, ქვეყანაში არის ინფლაციის ძალიან დაბალი, ფაქტობრივად, ნულოვანი მაჩვენებელი, რაც ეროვნული ბანკისთვის მყარი არგუმენტია რეფინანსირების განაკვეთი შემსუბუქებისთვის. თუმცა, აქაც სიფრთხილეა საჭირო, რადგან ჯერ კიდევ ძალიან მაღალი რეფინანსირების მაჩვენებელი აქვთ აშშ-სა და ევროკავშირში, მაღალი მაჩვენებელია ჩვენთანაც. ამიტომ ზედმეტადაც არ უნდა „გაგვექცეს“ ინფლაციის წახალისება. თუ რადიკალური ცვლილება არ მოხდა ადგილობრივ ან გლობალურ ეკონომიკაში, რეფინანსირების განაკვეთი, წესით, კიდევ უნდა შემცირდეს, პროფესიულ ენაზე რომ ვთქვათ - შერბილდეს.

- უფრო გასაგებად რომ აგვიხსნათ, რას ნიშნავს რეფინანსირების განაკვეთის შერბილება? კონკრეტულად ვის გაუიაფდება სესხი და რა შემთხვევაში?

- ეს ეხება 200 ათასზე მეტ ინდივიდს, რომელსაც აქვს გაფორმებული რეფინანსირებაზე მიბმული სესხი. პრაქტიკულად ყველა იპოთეკური სესხი რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. ეს ნიშნავს, რომ თუ რეფინანსირების განაკვეთი არის, პირობითად, 10 პროცენტი და ბანკი ამატებს თავის, პირობითად, 5 პროცენტს, იპოთეკური სესხის ღირებულება გამოდის 15 პროცენტი. თუ რეფინანსირება 10-დან 9 პროცენტამდე დაიკლებს, ბანკის პროცენტი, როგორც წესი, უცვლელი რჩება და სესხის ჯამური ღირებულებაც, შესაბამისად, 14 პროცენტამდე იკლებს. თუ პირიქით მოხდა და ეროვნულმა ბანკმა გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი, შესაბამისად, მსესხებელს სესხი გაუძვირდება. თუმცა, ბოლო პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ძალიან მაღალ ნიშნულზე იყო და მისი შემდგომი გაზრდა არ იყო მოსალოდნელი, უფრო კლებას ველოდით. ზოგადად, რეფინანსირებული სესხის შერბილება გულისხმობს იმას, რომ ფული ხდება უფრო იაფი. ვისაც არა აქვს რეფინანსირებაზე მიბმული სესხი, მათ ეს პირდაპირ არ ეხებათ.

- რა შესაძლებლობებს აძლევს მსესხებელს ეს კონკრეტული გადაწყვეტილება?

- რეფინანსირებული განაკვეთის შერბილება არის შესაძლებლობა როგორც ბიზნეს-სექტორისთვის, ისე მომხმარებლისთვის, ისესხონ და დახარჯონ მეტი ფული. ფიზიკურმა პირმა შეიძლება სესხი აიღოს თავისთვის და დახარჯოს ისეთ პროდუქტზე, მაგალითად ბინაზე, რომელითაც თვითონაც ისარგებლებს და ბიზნესსექტორსაც წაახალისებს. ბიზნესსექტორი, ამ შემთხვევაში, სამშენებლო კომპანია იღებს ფულს იმისათვის, რომ ააშენოს სახლი, რადგან იცის, რომ იაფიანი სესხის აღების შესაძლებლობა მეტ მომხმარებელს აქვს. შესაბამისად, მას აქვს მეტი შანსი, გაყიდოს თავისი ბინა. ეს ყველაფერი აუმჯობესებს ეკონომიკურ მდგრადობას, მეტი გადასახადი შედის ბიუჯეტში. მაღალი ალბათობით, დასაქმების მეტი ადგილი ჩნდება, რაც, მთლიანობაში, პოზიტიური მოვლენაა. როდესაც მეტი ფული რჩება ეკონომიკას და უფრო იაფად მეტი ფულის სესხების შესაძლებლობაა, ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

კონკრეტული გადაწყვეტილება გარკვეულ სტიმულს მისცემს ქვეყნის ეკონომიკას, მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვა უამრავი რესურსი, რომელსაც ძალიან სუსტად ვიყენებთ. მაგალითად, ენერგეტიკის სექტორი, რომელის ¼-იც არ არის განვითარებული იმ პოტენციალიდან, რაც ქვეყანას გააჩნია. გარდა ამისა, ინოვაციური ტექნოლოგიების მიმართულებით არის უზარმაზარი პოტენციალი, რასაც ჯერ-ჯერობით ვერ ვითვისებთ... მთელი რიგი მიმართულებებით არის შესაძლებელი არსებული პოტენციალის გაუმჯობესება. შერბილებული რეფინანსირების განაკვეთი, პლუს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის თუ სხვა დარგების მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, პოზიტიურად იმოქმედებს ეკონომიკაზე.

- ზოგადად, გაძვირებულ ფასებს რა ეშველება, ბატონო ვახტანგ? თქვენ აღნიშნეთ, რომ ინფლაცია, ფაქტობრივად, ნულის ტოლია, მაგრამ ფასებზე ეს როგორ აისახება?

- ვერ დაგეთანხმებით, რომ ფასები ძვირდება და მოგახსენებთ, რატომაც: ფასები მართლაც მაღალია საქართველოში, მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ინფლაცია თითქმის ნულზეა. ინფლაცია იანგარიშება ჯამურად 300-ზე მეტი დასახელების პროდუქტზე, რომელშიც შედის მედიკამენტები, სურსათი, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო პროდუქტი და ყოველდღიური მოხმარების ნივთები. შესაბამისად, ამ საგნებზე ჯამურად ფასების მატება ან კლება ნიშნავს ინფლაციას. შეიძლება ისე მოხდეს, რომ, პირობითად, სტაფილოზე ფასი ორჯერ გაიზარდოს, მაგრამ ამავე დროს, ვაშლი ორჯერ გაიაფდეს; შეიძლება, ხორცის ფასი გაიზარდოს, მაგრამ რძის პოდუქტზე - შემცირდეს; ტანსაცმელი გაიაფდეს, მაგრამ ტელეფონით საუბარი გაძვირდეს; ტრანსპორტირება გაძვირდეს, მაგრამ, პარალელურად, გაიაფდეს მედიკამენტები, სურსათი... ინფლაცია მხოლოდ ის არ არის, როცა ჩვენ მაღაზიაში შევედით, სადაც ყოველდღე ვყიდულობთ კარაქს და ეს კარაქი დაგვხვდა გაძვირებული. უნდა დავაკვირდეთ კარაქის და სხვა პროდუქტების ფასებსაც, რასაც ასევე მომხმრებელი ყიდულობს. ამ კუთხით მიდგომა გვეუბნება, რომ ინფლაცია არის თითქმის ნულის ტოლი. შარშანდელთან შედარებით, ჯამურად ფასები არ შეცვლილა, არის დაახლოებით იგივე ფასები. თუმცა, ზოგადად, მაღალი ფასები არის პრობლემა, რადგან ვლინდება, რომ ბიზნესსექტორი მთელ რიგ პროდუქტებზე საკმაოდ მაღალი ფასნამატით მუშაობს.

რთულია, ამას მთავრობა პირდაპირი გზებით შეებრძოლოს, ბიზნესი აიძულოს, რომ ფასები დაბლა დაწიოს, თუმცა, რა თქმა უნდა, ცალკეულ მიმართულებებში ხელისუფლებას ამის შესაძლებლობა აქვს. მაგალითად, ელექტროენერგიის ფასი შემცირდა, რაც არც კი მახსოვს, ოდესმე თუ მომხდარა. კონკრეტულ მიმართულებებში მთავრობას შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენის ინტრუმენტები, მაგალითად, სემეკ-ის გავლით ელეტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე თუ სხვა პროდუქტზე, მაგრამ ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა, დავუშვათ, ნავთობპროდუქტები, მას პირდაპირი გავლენის მექანიზმები არა აქვს. ან უნდა დააშინონ და „დააშანტაჟონ“ ბიზნესი, რაც, რაც რა თქმა უნდა, გამოსავალი არ არის. მეორე მხრივ, თუ ეს კომპანიები არღვევენ კანონს კონკურენციის შესახებ და ოლიგოპოლიურად მოქმედებენ ბაზარზე, მომხმარებელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაშინ უკვე ერთვება სახელმწიფო. რამდენჯერმე გამოავლინეს ისეთი ნაბვთობიმპორტიორები, რომლებიც არაკეთილსინდისერად ოპერირებდნენ ბაზარზე და კონკურენციის სააგენტომ დააჯარიმა კიდეც ისინი. მთავრობა ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მოახდენს პირდაპირ ზეწოლას ბიზნესზე, ვერ აიძულებს ბიზნესს, რომ კონკრეტული პროდუქტზე ესა თუ ის ფასი დაუწესოს. ეს ძალიან რთული საკითხია.

- ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ სწორედ ახლაა ხელსაყრელი მომენტი ეკონომიკის გასაძლიერებლად. რა იგულისხმეთ და როგორ შევძლებთ ეკონომიკურ წარმატებას მივაღწიოთ იმ რესურსით, რაც ქვეყანას გააჩნია?

- მაღალი ფასები, ზოგადად, არის კონკურენციის ნაკლებობის შედეგი. ჩვენ რომ გვქონდეს უფრო მეტი ბანკი, მეტი ისეთი ძლიერი ეკონომიკური ბიზნესობიექტები, რომლებიც ოპერირებენ, თუნდაც სამშენებლო კომპანიების სახით, სუპერმარკეტების, სააფთიაქო ქსელის, ან ნებისმიერი მიმართულებით, ფასები მეტად კონკურენტუნარიანი იქნებოდა. მაგალითად, ტელეკომუნიკაციების ბაზარზე ინტერნეტის საკმაოდ ძვირია, თუმცა სულ ორი მოთამაშეა და ორივეს ერთნაირი ფასები აქვს. რომ გვყავდეს კიდევ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე, ფასები აუცილებლად კონკურენტუნარიანი იქნებოდა. ასე რომ, რთული მომენტია. არ არის სასიამოვნო, რომ ის პროდუქტები, რომლებიც მეზობელ ქვეყნებში საქართველოს გავლით გადის, იქ უფრო იაფი ღირს, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ასე ხელაღებით ბიზნესის იძულება, რომ ფასები დაწიონ, არ შეიძლება. „რეცეპტის“ თქმა მიჭირს, თუმცა, მთლიანობაში, ასეთ შემთხვევაში, გამოსავალი ეკონომიკის გაძლიერება და ბაზარზე მეტი კონკურენციის გაჩენაა.

რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მას აქვს შესაძლებლობა, კიდევ დაწიოს რეფინანსირების განაკვეთი.

ნონა ქარქაშაძე

თათია კერესელიძის „ღვინის სამართალი“, როგორც ქართული ღვინის დაცვის მექანიზმი

ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც საზღვარგარეთ განათლების მიღებას ესწრაფვიან, ხშირ შემთხვევაში ცდილობენ, მიღებული ცოდნა და გამოცდილება თავვიანთ სამშობლოს მოახმარონ. ასეთი გეგმები ჰქონდა იურისტ თათია კერესელიძესაც, რომელმაც გერმანიაში სამართლის სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ გადაწყვიტა, კარიერა საქართველოში გაეგრძელებინა. ალბათ სხვანაირად ვერც მოიქცეოდა იმ ოჯახში აღზრდილი შვილი, რომლის მშობლები წლების განმავლობაში ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურებოდნენ. მამა ნუგზარ კერესელიძე მრავალი წელი პროკურატურის ორგანოებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, დედა ნანა კერესელიძე დღემდე სოფლის მეურნეობის სამინისტროს წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელია.

თათია კერესელიძის სახელს უკავშირდება შრომითი სამართლის საკითხებისადმი ახალი მიდგომები, რომლებიც ამ დარგის სპეციალისტებისათვის უკვე სახელმძღვანელოდ იქცა, მაგრამ მისი მოღვაწეობის ტრამპლინი საქართველოში ღვინის სამართლის, როგორც ახალი მეცნიერების დაფუძნებაა, რომელიც თავისი შინაარსით, საქართველოსთვის, როგორც ღვინის სამშობლოსთვის, მართლაც საინტერესოა.

რა არის „ღვინის სამართალი“ და რა შინაარსის მატარებელია თათია კერესელიძის იდეა?

„როგორც ევროპული გამოცდილება ცხადყოფს, გეოგრაფიული დასახელებები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია. ისტორიულად გეოგრაფიული დასახელებები ღვინის მწარმოებელთა მხარდაჭერის მიზნით ჩამოყალიბდა და ყველაზე მეტად აქტიურად ამ სექტორის მიერ გამოიყენება. ხშირია ქართული ღვინის წარმომავლობის უკანონოდ გამოყენების ფაქტები, მაშინ, როდესაც საქართველო მონაწილეა არაერთი საერთაშორისო ჩარჩო ხელშეკრულებისა, რომელიც ღვინის ადგილის/წარმოშობის საკითხებს იცავს. მაგალითად, ესტონეთის ბაზარზე ხშირად გვხვდება არაქართული წარმოშობის ღვინოები „ხვანჭკარა“ და „ქინძმალო“, რაც ამცირებს ქართული ღვინის ავტორიტეტს და საერთაშორისო ბაზარზე მის რეალიზაციას ართულებს. როდესაც შემუშავებული იქნება სამართლებრივი მექანიზმები, ქართული ღვინის წარმომავლობა დაზღვეული იქნება ინტელექტუალური საკუთრებით და ნიშნებით, რაც ქართული ღვინის ცნობადობას კიდევ უფრო გაზრდის“, - ნათქვამია თათია კერესელიძის ნაშრომში „ღვინის სამართალი“.

არაკეთილმოსურნეთა ხელი ქართულ ღვინოსაც მიწვდა. როგორც ამბობენ, თაღლითები განსაკუთრებით საზღვარგარეთ ქართული ღვინის ეტიკეტის ქვეშ სხვა ქვეყნის მიერ წარმოებულ ალკოჰოლურ სასმელს ყიდიან, რითაც ეროვნულ სიმდიდრეს შეურაცხყოფენ. თათია კერესელიძის იდეის მიხედვით, „ღვინის სამართალი“ უკონტროლო ბაზარს ჩარჩოებში მოაქცევს.

ამ ახალი მიმართულებით ჩვენი სახელმწიფო დაინტერესდა. თათია კერესელიძის ინოვაციური კვლევის შედეგად, მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა ახალი დისციპლინა ღვინის სამართლის შესახებ, რომელიც სტუდენტებს საზღვარგარეთ ქართული ღვინის, როგორც საკუთრების დაცვის სამართლებრივ მექანიზმს შეასწავლის. სსიპ „ქართული ღვინის სააგენტო“ სრულად იცავს და იზიარებს ამ ახალ იდეას და რეაგირების გარეშე არ ტოვებს ნებისმიერ პრეტენზიას, რომელიც ქართული ღვინის წინააღმდეგ იქნება მიმართული, ვინაიდან მას კანონმდებლობით კონტროლის ფუნქციაც აქვს.

თათია კერესელიძე, როგორც „ღვინის სამართლის“ ავტორი, სახელმწიფოს ხელშეწყობით მონაწილეობდა სხვადასხვა სემინარებში და ამ დარგით დაინტერესებულ მსმენელებს ევროპულ გამოცდილებას უზიარებდა, თუ როგორ იყო დაცული ღვინის საკუთრება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით. რომ არა საბედისწერო შემთხვევა, ავტოავარია, რომელმაც ახალგაზრდა მეცნიერის სიცოცხლე შეიწირა, მისი იდეა „ღვინის სამართალთან“ დაკავშირებით უფრო მრავლისმომცველი იქნებოდა და უფრო დაიხვეწებოდა.

მისი სიცოცხლე 2018 წლის ივნისის თვეში ტრაგიკულად შეწყდა...

„ნიუ ვიჟენის“ უნივერსიტეტში გახსნილია ღვინის სამართლის კვლევითი ცენტრი, რომელსაც აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, თათია კერესელიძის სახელი ეწოდა.

ლევან ჭიღლაძე

იურიდიული რჩევები

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

— მეუღლესთან განქორწინებული ვარ. ქორწინებამდე იგი რამდენიმე კომპანიის მფლობელი იყო. მაქვს თუ არა უფლება, მივმართო სასამართლოს და ამ ფირმებიდანაც მოვითხოვო წილის უფლება?

— სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინებიდან ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყველა ქონება მეუღლეთა შორის იყოფა თანაბრად, მათ შორის კომპანიებში (შპს, სააქციო საზოგადოება და ა. შ.) არსებული აქტივები და ასევე ის აქტივი, რომელიც არ არის მატერიალური ხასიათის. მაგ., საავტორო უფლებიდან, შემოქმედებითი ნაწარმოების რეალიზაციის საფუძველზე წარმოშობილი ქონება (შემოსავალი) და ა. შ.

●

— მეუღლესთან განქორწინებული ვარ. დედა (ყოფილი მეუღლე) არ მაძლევს ბავშვის ნახვის უფლებას. როგორ მოვიქცე?

— სამოქალაქო კანონმდებლობა გაძლევთ სრულ უფლებას, მიმართოთ სასამართლოს სარჩელით და კანონის მიხედვით მეორე მშობელს, მამას განესაზღვრება ბავშვის ნახვის დღეები. ასევე ისიც, რამდენი ხნით შეიძლება დარჩეს არასრულწლოვანი მასთან არდადეგებზე. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას სრულად აკონტროლებს მეურვეობის ორგანო.

●

— სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შევიტანე განცხადება და მოვითხოვე ქონების დაკანონებისთვის ნებართვის გაცემა, თანხმობა. მომივიდა პასუხი უარის თქმის შესახებ. გთხოვთ, მიპასუხოთ, მაქვს თუ არა უფლება მისი გასაჩივრების.

— ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, ნებისმიერი წერილი ექვემდებარება გასაჩივრებას. ზოგჯერ ადმინისტრაციული ორგანო ბრძანების სახით არ გამოსცემს უარის დადგენილებას. ამიტომ სახელმწიფო ორგანოდან მიღებული ყველა წერილი წარმოადგენს აქტს და იგი უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში.

●

— წლების განმავლობაში ჭიანურდება გამოძიება. როგორ მოვიქცე?

— ამ შემთხვევაში გამოძიების მოქმედებები, შესაძლოა, საჩივრით გაასაჩივროთ მის ზედამხედველ პროკურორთან, მოითხოვოთ შეხვედრა და დაუსვათ კითხვები, თუ რატომ არ დადგა შედეგი.

●

— დავიკითხე გამოძიებაში მოწმის სახით. მაქვს თუ არა უფლება, გავასაჯაროვო ის ინფორმაცია, რომელიც ძალიან მალე ისედაც საჯარო გახდება.

მოქმედი სისხლის სამსართლის საპროცესო კანონმდებლობით, თქვენ ამის უფლება არ გაქვთ, ვიდრე საქმე არ გადავა სასამართლოში და მაშინაც, თუ სხვის პირად ღირსებას ეხება, მისი გავრცელება საჯარო სივრცეში დასჯადი ქმედებაა.

●

— 6 წლის წინათ მინდობილობით ვიყიდე ავტომანქანა, მაგრამ ვერ მოვასწარი მისი გადაფორმება-დარეგისტრირება მომსახურების სააგენტოში. ყოფილი მესაკუთრე გარდაიცვალა. როგორ მოვიქცე?

თქვენ შეგიძლიათ, პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს სასარჩელო წესით და მოითხოვოთ მესაკუთრედ ცნობა ავტონანქანაზე, მაგრამ მანამდე უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი. პირველი — პრეტენზიით უნდა მიმართოთ პირველ რიგში გარდაცვლილის მემკვიდრეს - ოჯახის წევრს და უარის თქმის შემთხვევაში უკვე მის წინააღმდეგ მოითხოვთ ავტომანქანაზე საკუთრების უფლების აღიარება; მეორე — ამასთან, თქვენ უნდა წარადგინოთ, თუ გქონდათ გადახდილი რაიმე საჯარიმო ქვითარი და ასევე სასამართლო პროცესზე წარმოადგინოთ მოწმეები.

●

— ერთი წლის წინ ბინა გავასაჩუქრე შვილიშვილზე. იუსტიციის სახლში რომ მივედი, არ დავკვირვებივარ, რა შინაარსის დოკუმენტზე მოვაწერე ხელი. აღმოჩნდა, რომ ჩუქების ნაცვლად ნასყიდობის ხელშეკრულება მქონია დადებული. საქმე ის გახლავთ, რომ შვილიშვილი არაფერში მეხმარება და ვარ მიტოვებული. როგორ შემიძლია, დავიბრუნო ქონება?

— თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქონების დაბრუნება, ვინაიდან თქვენი ნება, ალბათ, გამომდინარეობდა იქიდან, რომ შვილიშვილს მოევლო და ეპატრონა თქვენთვის. თუ საქმის რეალურ ვითარებას სასამართლოს აუხსნით, ქონების უკან დაბრუნებას აუცილებლად მიაღწევთ. ასევე, სასამართლოს უნდა აუხსნათ, რომ არ მიგიღიათ ნასყიდობის ფასი და არც ამის სურვილი გაგჩენიათ. უმჯობესი იქნებოდა, ასეთ შემთხვევაში სამიდღემჩიო რჩენის ხელშეკრულების დადება, სადაც ყველაფერი გარანტირებულია.

●

— ვისესხე თანხა მევახშისაგან, რომელმაც სანაცვლოდ მომთხოვა ბინაზე ყიდვა-გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება, სხვანაირად არ კეთდებაო. ხელშეკრულება დავდეთ 6 თვის ვადით, თანხა დროულად ვერ გადავიხადე, მაგრამ პროცენტებს ვიხდიდი სტაბილურად, ხან ბანკის მეშვეობით და ხან პირადად გადავცემდი ხელზე. ახლა მაქვს სრული თანხა, ის კი უარს მეუბნება ბინის დაბრუნებაზე. როგორ მოვიქცე?

— პირველ რიგში, რეალურად ეს არის თვალთმაქცური გარიგება, რადგან ის მიზნად ისახავდა სხვა გარიგების დაფარვას. თუ ხელზე გაქვთ გადახდის ქვითრები, სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით დადგინდება იპოთეკურის სესხის არსებობა და მოიშლება ე.წ. ნასყიდობის გარიგება, რადგან ის ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და გარიგებისათვის მნიშვნელოვან პირობებს.

ტელ.: 555 750 445; 557 749 887.

შინაგანი „ამბოხი“ და დაგმანული კედელი!

ჩემი პროფესიის წყალობით, არაერთ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ. ზოგს პროფესიონალიზმით მოვუხიბლივარ, ზოგსაც კეთილადამიანური თვისებებით და საკუთარი ცხოვრების პრინციპებით, მაგრამ ძნელად იპოვი ადამიანს, ორივე თვისება ერთნაირად რომ ამკობდეს და ალამაზებდეს!

მქონდა ბედნიერება ასეთ პიროვნებას შევხვედროდი, თუმცა, არა მარტო შევხვედროდი, არამედ მისი რამდენიმე სქელტანიანი წიგნის რედაქტორ-გამომცემელიც ვყოფილიყავი...

ინტენსიურმა ურთიერთობამ იმდენად დამაახლოვა, უკვე საუკეთესო უფროს მეგობრად მეგულება. მასში ბევრი საერთო ინტერესებიც აღმოვაჩინე, განსაკუთრებით, პატრიოტულ სულისკვეთებას და შეუვალობას ვგულისხმობ - საკუთარი პრინციპები კომფორტზე არასდროს გაუცვლია. პირდაპირია, მაგრამ ზომიერების გრძნობა არასდროს ღალატობს!

ღირსეულ ქართველზე, თბილისის საპატიო მოქალაქეზე, **ვახტანგ დავითაიაზე** მოგახსენებთ.

დღეს, უკვე საერთაშორისო დონის არქიტეტორი იხსენებს, რომ მისი პროფესიული არჩევანი შემთხვევითი იყო - განგების წყალობით, პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხატვა არ ეხერხებოდა, პრობლემა უმოკლეს ვადაში დაძლია და ფაკულტეტის წარჩინებული სტუნდენტიც გახდა. პროფესიული აღმავლობა ახალგაზრდობის წლებშივე დაიწყო - სადიპლომო ნამუშევრის დაცვის შემდეგ, მოსკოვში გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ კონკურში მიიღო მონაწილეობა და 10 გამარჯვებულს შორის დასახელდა. იქ გაიცნო მსოფლიო არქიტექტურის ტიტანი: **კიმო კუროკავა**. ბატონი ვახტანგი ერთადერთი ქართველი იყო, რომელიც არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, იყო საერთაშორისო აკადემიის მოსკოვის განყოფილების პრეზიდიუმის წევრიც, ამასთან, რუსეთის არქიტექტურისა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი.

იგი, როგორც მსოფლიოში აღიარებული არქიტექტორი, სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებსა და ბიენალებში - ზედიზედ გახდა მე-2 და მე-3 ბიენალეს ლაურეატი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართველი არქიტექტორის აღიარება მოსკოვის გვერდის ავლით ხდებოდა, რაც მაშინ განსაკუთრებული მოვლენა იყო.

იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებში და დამსახურებულად იკავებდა კუთვნილ ადგილს მსოფლიო დონის ისეთ არქიტექტორებს შორის, როგორებიც იყვნენ: **კიშო კუროკავა, არატაი სოზაკი, კიკუ ტაკე** (იაპონია), **რიჩარდ ინგლანდი** (მალტა), **იუსტუს დაჰინდენი** (შვეიცარია).

ბატონი ვახტანგი ხაზგასმით ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოსთან მისი არქიტექტურული მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი იყო, თუმცა, საქართველოში ყველა კრიტერიუმი მოიშალა და ქვეყანა უკუსვლით წავიდა.

ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა ბატონ ვახტანგის უშუალო მონაწილეობითა და ავტორობით, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ალგეთის ბაზილიკა“, „ქუთაისის შრომის მემორიალი“ (რომელიც დღეს ძალიან ცუდ მდგომარეობაშია), ბაკურიანის „მზიურ ველი“, ასევე, **შოთა ბოსტაშვილთან** ერთად განხორციელებულ პროექტში პურის ქარხანა თემქაზე - საწარმოს შემოსასვლელი.

რაც შეეხება განუხორციელებელ პროექტებს, ყველაზე მეტად წუხს, რომ ვერ მიიყვანა ბოლომდე თბილისის აეროპორტის გზატკეცილის არქიტექტურული სივრცობრივი პროექტი და რიყის უბნის ქალაქგეგმარებითი კონცეფცია...

ბატონი ვახტანგი 200-მდე მნიშვნელოვანი პროექტის ავტორია. განხორციელებული აქვს ერთობლივი პროექტები **შოთა ბოსტაშვილთან, გიული გეგელიასთან, ნოდარ ჯანშიაშვილთან, ვაჟა ორბელაძესთან, თენგიზ გოგოლაშვილთან** და სხვებთან ერთად.

მისი პროექტების მნიშვნელოვანი წვლილი მემორიალსა და მონუმენტებზე მოდის. თითქმის 40 წელი ითანამშრომლა ცნობილ მოქანდაკესთან, **ელგუჯა ამაშუკელთან** - შეიძლება ითქვას, იგი თითქმის მისი ყველა ნამუშევრის არქიტექტორია.

მას კოლეგიალური და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა **მერაბ ბერძენიშვილთან** და **ვაჟა მელიქიშვილთან**.

ვახტანგ დავითაია: იღბლიანი კაცი ვარ, ისეთი გზა გავიარე და ისეთ წარმატებას მივაღწიე, ოცნებაშიც რომ ვერ წარმოვიდგენდი. ჩემი პროფესიული აღმავლობა ძირითადად დღევანდელ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, მაშინდელ გეპეი-ს უკავშირდება. იქვე დავამთავრე ასპირანტურა, მაგრამ დისერტაცია არ დამიცავს - იმ დროს პოლიტექნიკურში საპროექტო ბიურო გაიხსნა და მის ხელმძღვანელად დავინიშნე, თან არქიტექტურის კათედრაზე ვიყავი პედაგოგად, შემდეგ კათედრის გამგედაც ამირჩიეს ისე, რომ სამეცნიერო ხარისხიც არ მქონდა - პირდაპირ დოცენტის წოდება მომანიჭეს. შემდეგ და შემდეგ, იყო წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე.

„განსაკუთრებულად მაოცებდა იაპონია, რომელსაც კულტურისა და არქიტექტურის თვალსაწიერად მივიჩნევ. შემდეგ ადგილზე მოდიან იტალია, ინდოეთი, ახლო აღმოსავლეთი და სკანდინავიის ქვეყნები.

ეპოქებს საკუთარი სტილი ახასიათებს არქიტექტურაშიც. სამწუხაროდ, დაირღვა სტილების ეპოქა და არქიტექტორების არქიტექტურაზე გადავიდა - ყველა ცდილობდა ყოფილიყო თვითმყოფადი (თავისუფალი თავის შემოქმედებაში), მაგრამ ამან საოცარი სიჭრელე მოიტანა. **დღეს არქიტექტურა ფაქტობრივად უსისტემოა**. ეს, ალბათ, თანამედროვე ეპოქის ხარკად შეიძლება მივიჩნიოთ!

საბჭოთა კავშირი ლამის ყველასთვის ერთნაირად დაინგრა და განადგურდა, მაგრამ საქართველოსთვის უფრო მტკივნეული აღმოჩნდა - თითქოს მიზნად დავისახეთ არანაირი მემკვიდრეობა არ დარჩენილიყო. დღეს სიტყვა „მემკვიდრეობა“ ლამის გინებად მიიჩნევა. საქართველოს დიდი რენესანსი ჰქონდა კულტურისა და ხელოვნების ყველა სფეროში, მათ შორის, არქიტექტურაშიც. ასე რომ გაგრძელებულიყო თვალუწვდენელ სიმაღლეზე ავიდოდით. სწორედ მეოცე საუკუნის მიღწევებით გაიცნო მსოფლიომ საქართველო, ჩვენ კი არათუ განვითარებაზე ვფიქრობთ, არამედ იმ მონაპოვარსაც ვერ ვინარჩუნებთ!

რაც არ უნდა გაგიკვირდეს, ჩემი პროფესიული აღმავლობა ედუარდ შევარდნაძის ეპოქას უკავშირდება. შევარდნაძეს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებთან და სტიმულსაც გვაძლევდა.

რაც შეეხება გამსახურდიას, მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველკაცობა ხანმოკლე აღმოჩნდა, გაორებული ვიყავი მის მიმართ - ჩემთვის მისაღები იყო გამსახურდიას იდეები, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელი მეჩვენებოდა მისი გარემოცვა. დიახ, ბოლომდე კრიტიკული დამოკიდებულება მქონდა მისი გარემოცვის მიმართ...

სააკაშვილის ეპოქა შეიძლება შევაფასო ავტორიტარიზმისა და გაუგებრობის ეპოქად. სწორედ მას მივუძღვენი წიგნი **„ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია“,** სადაც მკაფიოდ ჩამოვაყალიბე საკუთარი დამოკიდებულება სააკაშვილის რეჟიმის მიმართ - მან საერთოდ წიხლი ჰკრა ყოველგვარ ეროვნულს და პროფესიონალიზმს და თვითონ მოგვევლინა საქართველოს მთავარ არქიტექტორად. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან მისი „საგმირო“ საქმეებიდან.

ელგუჯა ამაშუკელის ძეგლი ქუთაისის ცენტრიდან გადაიტანა სადგურზე, მონუმენტი ლენინის ძეგლის საძირკველზე დგას.

მან და უგულავამ დავით აღმაშენებლის ძეგლი „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორიიდან სადღაც ტრასაზე მოისროლა და ამ ვებერთელა ჩანაფიქრს ფუნქცია დაუკარგა. სამწუხაროდ, ვერც დღევანდელმა ხელისუფლებამ მოაბა თავი აღმაშენებლის ძეგლის თავის ადგილზე დაბრუნებას!

სააკაშვილმა ასევე გააუქმა არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო და, შეიძლება ითქვას, ეს სფერო უთავოდ დარჩა - ძაღლი პატრონს ვერ ცნობს! დღეს საქართველოში არქიტექტურა, როგორც დარგი, ერთიან პოლიტიკას არ ექვემდებარება!!!

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, იმედი მქონდა სააკაშვილის სიგიჟეებს გამოასწორებდა, მაგრამ იმედგაცრუებული დავრჩი - არქიტექტურისადმი მიდგომა არსებითად არ შეცვლილა. დღემდე ვერ გავიგე, რა უშლის ხელს, თუნდაც, აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნებას, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა.

თბილისს ქალაქგანვითარების გენგეგმა (იგივე ქალაქის კონსტიტუცია) აქვს, მაგრამ იგი თვითნებურად ირღვევა, მთავარი დამრღვევი კი თავად ქალაქის მერიაა. ქაოსურად მიდის მშენებლობა, იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ ჩააწყობს! არ არსებობს არქიტექტურული საბჭო - ადრე ყველა ახალი მშენებლობა არქიტექტურულ საბჭოზე განიხილებოდა და მტკიცდებოდა.

თავის დროზე, ქალაქს ჰყავდა ბუმბერაზი არქიტექტორები: **არჩილ** და **შაქრო ქურდიანები, ივანე ჩხენკელი, შოთა ყავლაშვილი, ოთარ კალანდარიშვილი, თემო კანდელაკი, ვოვა ქურთაშვილი, თამაზ კიკნაძე.**

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება არქიტექტურისადმი ნულია - დღეს მთავარ არქიტექტორს არა პროფესიული ნიშნით და საჭირო გამოცდილებით არჩევენ, არამედ მენეჯმენტის გათვალისწინებით. თუ რა დღეშია დედაქალაქი, ამას ყველა კარგად ვხედავთ. არ მოვერიდები და ვიტყვი: **ეს არის საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ქალაქის ღალატი!**

ინტელიგენცია გაჩუმებულია - მას არა აქვს რეაქცია კრიტიკული მოვლენების მიმართ. ამბობენ, ინტელიგენცია ივანიშვილმა მოისყიდაო. არც უმაგისობაა, ალბათ, ჰონორარი, რომელსაც შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები იღებენ წლების განმავლობაში, აიძულებთ მათ თავი შეიკავონ ხელისუფლების კრიტიკისგან. არადა, გასაკრიტიკებელი ძალიან ბევრია...

მახათას პანთეონი, **„არლინგტონის ჯარისკაცთა სასაფლაოს“ წამხედურობაა ერთი ერთზე** - მისი პირდაპირი ფრაგმენტია, სადაც ადამიანები განისვენებენ ჯარისკაცური იდეით. ზოგადად, პანთეონი გამორჩეული ადგილია, სადაც გამოჩენილი ადამიანები და საზოგადო მოღვაწეები უნდა განისვენებდნენ - აქ კი ყველა პირობა დარღვეულია, მათ შორის, მეუღლეებს არა აქვთ უფლება დაიკრძალონ ერთმანეთის გვერდით! ეს არის პრიმიტიული გადაწყვეტა, გაუნათლებელი ადამიანების მიერ დადგენილი წესი, რომლის მიმართაც საზოგადოებრივი აზრი მკაცრად კატეგორიულია. ბევრი გამოჩენილი მოღვაწის ოჯახმა უარი თქვა მახათას ე.წ. პანთეონზე და არჩიეს წინაპრების სასაფლაოზე ყოფილიყვნენ დაკრძალულნი.

ვინ მოიფიქრა ეს და რას ემსახურება? ყველაფრის გაუკუღმართება როგორ შეიძლება? რამდენჯერმე დავსვი ეს კითხვა, მაგრამ თბილისის მერია დღემდე გატრუნულია. არ შეიძლება ყველაფერი წავბილწოთ, ყველაფერს შინაარსი გამოვაცალოთ და უსულო, უგულო მასად ვაქციოთ. სამწუხაროდ, ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. ასე შორს ვერ წავალთ...

– ბატონ ვახტანგს ბევრი სხვა გულისტკივილიც აწუხებს, მაგრამ, რა აზრი აქვს შინაგან „ამბოხს“, როცა კედელი დაგმანულია და შენი ხმა არავის ესმის, როცა მსოფლიოში ბევრი შენი სახელგანთქმული კოლეგა გიცნობს და გაფასებს, მაგრამ შენს ქვეყანაში ყურს არავინ გიგდებს, რადგანაც შენი ფასი აღარ იციან და აღარც აინტერესებს ვინმეს!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

საქართველო აღორძინდება და გაბრწყინდება!



ელეგანტურ მოჭიდავეებად ცნობილი მხოლოდ ერთეულები არიან. მათ შორის გახლავთ ქართველი ფალავანი გურამ საღარაძე. ორთაბრძოლებისას იგი განსაკუთრებული სტილით გამოირჩეოდა — არ უყვარდა. მოწინააღმდეგის „დახრჩობა“, ანუ განადგურება. გურამ საღარაძე იბრძოდა ხალიჩაზე, ჭიდაობდა და სპორტულ არენაზე უღირს საქციელს არ კადრულობდა. სპორტის მოყვარულებს დღესაც კარგად ა.ხსოვთ გურამი. იგი თვითონაც სიამოვნებას იღებდა და ჭიდაობის მოყვარულებსაც ახარებდა. მან თავისი განსაკუთრებული, დახვეწილი სტილითა და ასპარეზობის მანერით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ჭიდაობის სპეციალისტები მოხიბლა და აღაფრთოვანა.

ორთაბრძოლები, რომელთა გახსენება დღესაც სიამოვნებას მოჰგვრის ქართველ სპორტის მოყვარულებს, გურამ საღარაძის სპორტულ ბიოგრაფიაში მრავლად არის.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონობა, ორჯერ ვერცხლის მედლის მოპოვება და ევროპის ჩემპიონატებში ოთხჯერ გამარჯვება (აღარაფერს ვამბობთ ყოფილ სსრკ-ის ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში წარმატებულ ასპარეზობებზე), შესაძლოა, მავანს ბევრად არ მოეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ კონკურენციას გავითვალისწინებთ, მიღწევები მართლაც შთამბეჭდავია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტოკიოს ზაფხულის მე-18 ოლიმპიური თამაშები, როდესაც გურამ საღარაძეს აშკარად წაართვეს (პირდაპირი მნიშვნელობით) ოლიმპიური ოქროს მედალი და ვერცხლის მედალი არგუნეს. ქართველმა სპორტის მოყვარულებმა რეალურად შეაფასეს ვითარება და იაპონიის დედაქალაქში დეპეშა აფრინეს; „შენ ჩვენი და, საერთოდ, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ხარ“. ამით ერთგვარი შვება მოჰგვარეს ჩვენს სახელოვან ფალავანს.

დიდი სპორტიდან ბატონი გურამი შორს არ წასულა, იგი ახალგაზრდა თაობებისთვის მისაბაძი მაგალითი იყო...

გავიხსენებ ახლახან გარდაცვლილი ქართველი ლეგენდარული ფალავანის, ლევან თედიაშვილის სიტყვებს, რომელიც რამდენჯერმე მითხრა როგორც კერძო საუბრებში, ისე — ინტერვიუში: „...ჩემი კერპი გურამ საღარაძე იყო. სწორედ მისმა ჭიდაობის სტილმა განაპირობა ჩემი სპორტული კარიერა. ყოველთვის მომწონდა მისი დახვეწილი, ელეგანტური ჭიდაობის მანერა. იგი ჭიდაობდა გახსნილად, ვაჟკაცურად... ამიტომ იყო გამორჩეული და მეც ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა“.

ბატონმა გურამ საღარაძემ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სპორტს ვერ უღალატა. ჭიდაობიდან ლევან თედიაშვილის წასვლის შემდეგ ქართული თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა — რამდენიმე წელი, არათუ მსოფლიო, საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვებულიც კი არ გვყავდა. გურამ საღარაძის საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობის პერიოდში, მოულოდნელად გამოჩნდა (უფრო ზუსტად, გურამმა „აღმოაჩინა“!) ორი ბუმბერაზი მოჭიდავე, დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი — ორივე მათგანმა თითო-თითო ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა საქართველოს.

ბატონ გურამს 85 წელი უსრულდება. იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით ცხოვრობს და ხარობს შთამომავლობით.

აღსანიშნავია, რომ იგი ვაკის ფერისცვალების ეკლესიის სტიქაროსანია.

ბატონ გურამს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვეწვიე, მივულოცე და საჭირბოროტო საკითხებზეც ვისაუბრეთ.

— ბატონო გურამ, რა ხდება ჩვენ თავს — საქართველოს და, ზოგადად, მსოფლიოს ვგულისხმობ...

— საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამიტომ, მასთან ერთად უფალი იესო ჩვენთან არის! დღეს მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ბევრი ომი მიმდინარეობს დედამიწაზე, ბევრი სტიქიური უბედურება და არასასურველი ამბებიც ხდება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი ადამიანთა მიერ ჩადენილი ცოდვების გამოძახილია.

ბიბლიიდან ვიცით უფლის მიერ სოდომ-გომორის ცეცხლითა და მახვილით დასჯა და მაინც, ახლაც დაუშვეს ევროპის ცალკეულ ქვეყნებში ერთნაირსქესიანთა ქორწინება. ღმერთმა არ ქნას, რომ ამ უმსგავსობის დაკანონება აქაც, ჩვენთან, უდიდესი ქრისტიანული ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაშიც მოინდომონ!..

სამწუხარო ფაქტია, რომ გაჭირვების გამო, სამუშაოს საშოვნელად ქართველები საზღვარგარეთ მიდიან, მათ სანაცვლოდ კი აქ გადამთიელები ჩამოდიან და მკვიდრდებიან. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საქართველოს ძირძველი ქართველი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდეს!

უკრაინაში სლავი ხალხი დაუპირისპირდა ერთმანეთს — ომში, რომელიც ამერიკელებმა უკრაინელებს მოახვიეს თავს, ძირითადად, მართლმადიდებლების სისხლი იღვრება. უკრაინის პრეზიდენტი, ავაზაკი ზელენსკი ოცდაათ ვერცხლად მიეყიდა ამერიკელებს... საუბედუროდ, ანტიქრისტეს მიმდევრები მომრავლდნენ...

— ასეთ რთულ ვითარებაში ქართველებს რისი იმედი უნდა გვქონდეს...

— საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს უდიდესი ადამიანი, პატრიარქი, ბრძენკაცი და წინასწარმჭვრეტელიც. იგი თავის ლოცვებში მუდამ აღავლენს ვედრებას: „ღმერთო, გადაარჩინე და გააერთიანე საქართველო!“ მჯერა, რომ ახლო მომავალში ბევრი სასწაულის მხილველები გავხდებით — იბერია გაბრწყინდება, გამთლიანდება და ასეთი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ იქნება. პირადად მე მომავალს ოპოტიმისტურად ვუყურებ.

— ალბათ, სწორედ ამიტომ ესხმიან პატრიარქს თავს გამუდმებით...

— ძალიან გამიკვირდა პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიერ პატრიარქის უპატივცემულოდ მოხსენიება. ჩვენი პატრიარქის შეურაცხყოფა მთელი ერის შეურაცხყოფაა.

სამწუხარო ფაქტია, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომლის ხელშიც მსოფლიო ფინანსების უდიდესი ნაწილია, გამუდმებით ებრძვის მართლმადიდებლობას — ის სხვა საკითხია, რომ ვერაფერს დააკლებენ. წმინდა გაბრიელ სალოსის წინასწარმეტყველებით, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია, მაგრამ საქართველოს ის არ შეეხება...

— წინასწარმეტყველება ერთია, მაგრამ ქვეყანაზე ზრუნვა ხელისუფლების მოვალეობაა...

— დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობას, კონკრეტულად კი ბიძინა ივანიშვილს, უდიდეს პატივს ვცემ. იგი ჰუმანური, ქველმოქმედი ადამიანია, თუმცა, კოჰაბიტაციის პროდუქტმა, მისგან მომდინარე საკადრო პოლიტიკამ ბევრი რამ გააფუჭა — ერთმანეთში არია ყველაფერი.

ამ პატარა ქვეყანაში ამდენი პოლიტიკური პარტიისა და უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა წარმოუდგენელია! — ეს მხოლოდ ე. წ. დასავლეთის ინტერესებშია.

— სამწუხაროა, რომ ბატონ ბიძინას ამაგი ბევრმა არ დაუფასა...

— გავიმეორებ, რომ ბატონ ბიძინას უდიდეს პატივს ვცემ; მოსაწონია ირაკლი კობახიძის პრემიერად დანიშვნაც. ბატონმა ბიძინამ ქვეყნისთვის უამრავი კეთილი საქმე გააკეთა, აკეთებს დღემდე და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც განაგრძობს. ჩემს მოკრძალებულ რჩევას კი გავასაჯაროვებდი: აუცილებელია ქართული სოფლების აღდგენა-აღორძინება. კარგი იქნება, თუ განხორციელდება სასმელი წყლის ექსპორტი, რაც დამატებით დიდ შემოსავალს მოუტანს საქართველოს. დღეს მსოფლიოში სასმელი წყალი უფრო დეფიციტურია ვიდრე საკვები პროდუქტები — ეს გასათვალისინებელია; გადასახედია საპენსიო პოლიტიკა — როგორ შეიძლება, პენსია ათას ლარზე ნაკლები იყოს; ასევე, გადასახედია ფასები პროდუქტებზე, მედიკამენტებზე... დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ბიძინა შეძლებს ყველა არსებული პრობლემის მოგვარებას!

— არა ცილი სწამოო...

— აგრესიული ლიბერალიზმის მხარდამჭერებს ყველაფერი დასაშვებად მიაჩნიათ, მათ შორის ცრუ ბრალდებებიც. დღეს კაცობრიობა ლიბერალურ კორუფციაშია ჩაფლული. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტპარტიების დიდი ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებასთან ერთად ქვეყნის აღორძინებასა და აღმასვლის გზებზე მსჯელობდნენ, საკუთარი ქვეყნის მტრებად იქცნენ. აუცილებლად კიდევ ერთხელ აღსანიშნია, რომ მსოფლიო ფინანსური გიგანტების მიზანია, დედამიწის 7 მლრდ მოსახლეობა ოქროს ერთ მილიარდზე დაიყვანონ — ამ მიზნის მისაღწევად უამრავი უკეთურება ხდება.

— საქართველოს პარლამენტი გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვაზე კანონის მიღებას გეგმავს...

— მიიღებენ კი? ღმერთმა ქნას! ოჯახი, ტრადიციულად, ქალისა და კაცის ქორწინებაა. დაუშვებელია ერთნაირსქესიანებმა შვილად აიყვანონ ბავშვი! ზოგი ვაი-პოლიტიკოსი რომ „ევროპას, ევროპას“ გაჰყვირის, მათ, ალბათ, ჰგონიათ, რომ ბებერ კონტინენტზე გარყვნილებაა ფასეული და ეს არის ე. წ. ევროპული ფასეულობა!

ახლა რომ უცხოელების მიერ ქართველი მოსამართლეების გაკონტროლებაზე დაიწყეს საუბარი — რა უფლება აქვს ვინმე გადამთიელს, რომ საქართველოში მოსამართლეები ან ნებისმიერი სხვა განხრის ჩინოვნიკი დაგვინიშნოს!..

ყველაფერი დარეგულირდება. ჩვენი სამშობლო გაერთიანდება. საქართველო ყოველთვის იყო და იქნება უნიკალური, ტოლერანტული ქვეყანა!

დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმებიც გვერდს აგვივლის და საქართველო გახდება მართლა საოცნებო ქვეყანა, სადაც ჩვენს ერს ღვთისმშობლისა და უფლის შემწეობით ღირსეული ცხოვრება შეეძლება.



გია ბურდული

მიხეილის კვანძი

დასაწყისი იხ. „სგ“ N9

„საქმის ბოლოზე იფიქრე“ - ეს სიბრძნე, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ერთმა ფილოსოფოსმა 1000 ოქროდ მიჰყიდა ერთ მეფეს. ამ სიბრძნის უცოდინრობის გამო მიხეილ სააკაშვილი თავად აღმოჩნდა უძრაობაში, უსახელო და დამცირებული. დიდი შოთა გვაფრთხილებს: „მაგრამ არსად გაუმარჯვდა, კაცსა ფიცის გამტეხელსა“!

ზემო განხილულის საფუძველზე, ვიდრე „მიხეილის კვანძის“ საბოლოო გადაჭრის გზების წარმოჩენას შევეცდებოდეთ, გავიხსენოთ ლეგენდად ქცეული „გორდიას კვანძი“.

წინასწარმეტყველების თანახმად, ვინც „გორდიას კვანძს“ გახსნიდა, იგი აზიის მბრძანებელი გახდებოდა. წლების განმავლობაში ვერავინ შეძლო კვანძის გახსნა. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ძვ. წ. 334 წელს შევიდა ფრიგიის დედაქალაქში შევიდა, სცადა კვანძი გაეხსნა და როდესაც ეს ვერ მოახერხა, აიღო ხმალი, დაჰკრა და გადაჭრა. წინასწარმეტყველება ახდა - ალექსანდრე აზიის მბრძანებელი გახდა.

ეს ლეგენდა მოგვითხრობს ურთულესი საკითხის გონივრულად და ელვისებურად გადაჭრის შესახებ.

„მიხეილის კვანძის“ შემთხვევაში, რომლის გადაჭრაც ქვეყანაში „ჯადოსნური წრის“ გარღვევას და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ღირსეული განვითარების გზაზე დაყენებას ნიშნავს, ამ საკითხის გადამჭრელი, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ჯერ არ ჩანს. იგივე მეთოდებით, მიდგომებით ქვეყნის მართვა კი იგივე „ჯადოსნურ წრეზე“ ბრუნვა იქნება.

ქვეყანა, სადაც მოქალაქე სამშობლოს ღალატისათვის პასუხს არ აგებს, წინ ვერასოდეს წავა. ესეც „მოჯადოებული წრის“ ერთ-ერთი მთავარი რგოლია. საერთოდ, კარგი იქნებოდა, ვინმეს მოეთხოვა კულტურის სამინისტროსთვის, ხელისუფლებისთვის აეხსნათ მაინც, თუ რა კულტურულ-შემოქმედებით, ღირებულება გააჩნია ეგრეთ წოდებულ ველოსიპედის ძეგლს, რომელიც დავით აღმაშენებლის ნაცვლად ქვეყნის მთავარ მოედანზე დაიდგა. ესეც „მოჯადოებული წრის“ შედეგია.

სწორედ ამის შესახებაა უფალი რომ ბრძანებს: „ყოველი ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა“. ნარ-ეკლიდან ხომ ვერ მოკრეფ ლეღვს და არც მაყვლოვანზე იკრიფება ყურძენი.

რატომ მიწოდებთ: უფალო, უფალო და იმას კი არ აკეთებ ,რასაც გეუბნებით? (ლუკა 6-44, 45, 46)

რაშია, ბოლოს და ბოლოს, გამოსავალი?

„გორდიას კვანძისაგან“ განსხვავებით, „მიხეილის კვანძთან“ ცოტა სხვაგვარად გვაქვს საქმე. „მიხეილის კვანძის“ შინაარსი, მართალია, როგორც ვხედავთ გახსნილია, მაგრამ არა გადაჭრილი. ვინ გადაჭრის კვანძს, ანუ ვინ აიღებს ველოსიპედს, ვფიქრობ ამას წინასწარმეტყველება კი არა, მტკიცე ფილოსოფიური ლოგიკით ახსნა სჭირდება, კერძოდ: ის პიროვნება, იქნება პოლიტიკოსი, რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი თუ საზოგადოებრივი სახალხო მოძრაობის ლიდერი, ვინც დააყენებს „მიხეილის კვანძის“ გადაჭრის საკითხს და მოაშორებს „უძრაობის სიმბოლოს“ ქვეყნის მთავარი მოედნიდან. საბოლოო ჯამში, ყველა იგრძნობს, რომ „მოჯადოებული წრე“ გარღვეულია, უძრაობისა და უკუსვლის ეპოქა დასრულებულია, ქართული სახელმწიფო, უპირველესად, საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს, ყველა ქვეყნებთან კეთილმეგობრული თანამშრომლობით, ქართველი ერი, ქვეყანა აღმავლობის ღირსეულ გზას დაადგა!

ეს არის გამოსავალი!

დასასრულ კიდევ ერთ საინტერესო დეტალს უნდა გავუსვა ხაზი, რომელიც, უდავოდ, კავშირშია „უძრაობის სიმბოლოსთან“.

სასტუმრო „ივერია“, როგორც ვიცით, სასტუმრო „რედისონად“ გადაკეთდა. დღეს იგი წარმოდგენილია ინგლისურად „რედისონ ბლუ“, ასევე დიდი ასოებით გამოკვეთილად, მხოლოდ ქართულად წარმოდგენილია: „რედისონ ბლუ ივერია“. რატომ არ არის სასტუმროს თავზე ივერია წარმოდგენილი ინგლისურად ასევე დიდი ასოებით, როგორც „რედისონი“? რატომაა „ივერია ბლუ“ მხოლოდ ქართულად?

ივერიას ძველი მსოფლიო იცნობდა ჯერ კიდევ ინგლისურისა და თვით ინგლისის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე. ეს არ უნდა იყოს ვინმესთვის საწყენი, არც ზედმეტობა ქართველებისაგან - ეს ისტორიული ფაქტია. მაშინ რა დაუწუნეს ივერიას? როგორც ჩანს, ბლუ ივერია, თვალსაჩინოდ, ქართულად მხოლოდ ქართველებისთვისაა წარმოდგენილი. რატომ ?

გავაკეთოთ მოკლე ანალიზი და ყველა დარწმუნდება ამ აზრის ჭეშმარიტებაში.

ქართულად სიტყვა ბლუ-ს მნიშვნელობა ყველამ კარგად ვიცით - ენა მძიმე, (ბლუყუნებს) საჭირო დროს ვერ იტყვის გამართულ და გაბედულ სიტყვას. ქართული ლექსიკონის მიხედვით - ბლუ - ენამძიმედ, მაყენებლად მოლაპარაკე, უჭირს პასუხის გაცემა, უჭირს მეტყველება. ზემო განხილულიდან გამომდინარე, სასტუმრო „რედისონზე“ „ბლუ ივერიის“ - მხოლოდ ქართულად, ქართული მნიშვნელობით წარმოჩენაში არის ლოგიკა.

ივერიის ნაცვლად გადაკეთებულ სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე „უძრაობის სიმბოლოს“, რკინის კონსტრუქცია - კვანძის დასადგმელად, პირველ რიგში, დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა აეღოთ. ამ ანტიერ-ოვნული პროექტის ავტორებმა, რომლებმაც ასევე კარგად იცოდნენ სიტყვა „ბლუს“ მნიშვნელობა ინგლისურისაგან განსხვავებით ქართულად, გადაწყვიტეს:

ერი, რომელიც ქვეყნის ერთიანობის და აღმშენებლობის სიმბოლოს შეურაცყოფას მოითმენს, მის ნაცვლად, გაურკვეველი შინაარსის ველოსიპედის დადგმას შეეგუება, სწორედ, რომ ასეთ შედარებას იმსახურებს: ბლუ! „ბლუ ივერია“!

რამდენიმე წლის წინათ, (2000-იანი წლების დასაწყისში) საფრანგეთში, პარიზში, ერთ-ერთ რესტორანს, რომელსაც, როგორც გაირკვა, ინდიელების ერთ-ერთი ტომის ბელადის სახელი ერქვა, ინდიელების მემკვიდრეებმა უჩივლეს სასამართლოში, ეს ჩვენთვის დიდი შეურაცყოფაა. „ინდიელი ხალხის გმირის სახელი არ უნდა ერქვას ვინმე უცხოტომელთა გასართობ ცენტრსო“. სასამართლომ დააკმაყოფილა მათი სამართლიანი მოთხოვნა და აღნიშნული რესტორნის მეპატრონეს რესტორნის სახელის შეცვლა დაავალეს და საკმაოდ დიდი თანხით დააჯარიმეს ინდიელების ეროვნული ღირსების შელახვისთვის. ინდიელების განაცხადის მიხედვით, მიღებული თანხა მოხმარდებოდა ამერიკის კონტინენტზე, ინდიელების ისტორიულ სამშობლოში იმ ბელადის ძეგლის მოვლა-პატრონობას, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ დამპყრობელთა მთავარი პრინციპი: „ერი რომ საბოლოოდ დაიმორჩილო, უპირველესად უნდა დაამცირო!“ და რომ ის ამ დამცირებას დროთა განმავლობაში უნდა შეეგუოს...

ამ სამწუხარო რეალობას, რაზეც მოგახსენეთ, მოწმობს საქართველოს რესპუბლიკის მოედანზე გადმომდგარი „უძრაობის სიმბოლო“, რომელსაც „ბლუ ივერია“ უმაგრებს მხარს.

„მიხეილის კვანძი“ გახსნილია!

ოღონდ, არა გადაჭრილი!

P.S. ამიტომ ყველა მოაზროვნე, მართალ და პრინციპულ თანამემამულეს, ვისაც აწუხებს ჩვენი ერის ღირსეული მომავალი, ვთხოვ, ნუ დარჩებით გულგრილი ამ მეტად მნიშვნელოვანი საქვეყნო საკითხისადმი და გამოეხმაურეთ.

ღმერთმა დალოცოს, დაიფაროს და გაამთლიანოს საქართველო!

დიდი სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ემიგრანტი (ბერი)
07.03.2024 წელი

ჩვენს მკაცრ „ცენზორს“, ჩვენთვის ძვირფას, ნიჭიერ, კეთილშობილ, სიმპათიურ, ქარიზმატულ

დავით ხარჩილავას

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ, ჯანმრთელობას, წინსვლასა და წარმატებებს მის მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

მრავალჟამიერ, დავით, შენს მშვენიერ მეუღლესთან და არაჩვეულებრივ შვილებთან ერთად!

„საერთო გაზეთი“

ჩვენი გაზეთის სულსა და გულს, გულისხმიერ, ყურადღებიან, ერთგულ, უღალატო, წესიერ ადამიანს, თავისი საქმის პროფესიონალს

ბესო ცარციძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

დაე, კიდევ მრავალ ბედნიერ დაბადების დღეს დასწრებოდეს თავის ლამაზ, მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით, შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. განაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99